

შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-
ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვება

სკოპინგის ანგარიში

ეკოპლან

მომზადებულია: გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების

საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრი

დირექტორი: თინათინ ჟიჟიაშვილი

სარჩევი

1.	შესავალი.....	4
2.	საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა.....	6
3.	ალტერნატიული ვარიანტების განხილვა	10
3.1	არაქმედების ალტერნატივა.....	10
3.2	სასარგებლო წიაღისეულის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვების ალტერნატივა	11
3.3	საქმიანობის განხორციელების ტექნოლოგიური ალტერნატივა.....	12
4.	პროექტის აღწერა.....	15
4.1	კარიერის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	16
4.2	ინფორმაცია საბადოზე არსებული მარაგების შესახებ.....	17
4.3	პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები.....	17
4.4	საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და დასაქმებულების რაოდენობა.....	18
4.5	დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები.....	19
4.6	კარიერზე მისასვლელი გზები	19
4.7	სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია	19
4.8	ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ	22
5.	წიაღის მოპოვების პროცესში, ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების საკითხი, ჩამდინარე წყლების საკითხები	22
5.1	სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება, ჩამდინარე წყლები.....	22
6.	მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების მოცულობა.....	23
7.	გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა	23
7.1	საპროექტო ტერიტორიის კლიმატურ - მეტეოროლოგიური მონაცემები	23
7.2	ჰიდროლოგია.....	28
7.3	გეოლოგია	28
7.4	ჰიდროგეოლოგია	29
7.5	ბიომრავალფეროვნება	31
7.5.1	ფლორა	31
7.5.2	ფაუნა	33
7.6	არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	34
8.	გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება	35
8.1	ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	35
8.2	ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე 36	
8.3	ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე	39
8.4	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე.....	40
8.5	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	44

8.6	ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.....	47
8.7	სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება.....	47
8.8	ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე.....	48
8.9	ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.....	49
8.9.1	ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანის (ექსკავატორის) მუშაობისას.....	50
8.9.2	ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანის (თვითმცლელის) მუშაობისას.....	53
8.10	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება.....	53
8.10.1	ხმაურის გავრცელება კარიერის დამუშავების ეტაპზე, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება..	57
8.10.2	ვიბრაციის გავრცელება კარიერის დამუშავების ეტაპზე, ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება.....	57
8.11	ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	58
8.12	კუმულაციური ზემოქმედება.....	58
8.13	ნარჩენების მართვის საკითხები	58
9.	ინფორმაცია ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ	59
10.	ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის ჩასატარებელი კვლევებისა და საჭირო მეთოდების შესახებ.....	60
11.	გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების მართვის გეგმა.....	61
11.1	ზოგადი მიმოხილვა.....	61
11.2	შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი.....	62
12.	დანართები.....	72
12.1	დანართი 1 - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან	72
12.2	დანართი 2 - სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია	75
12.3	დანართი 3 - გეოსაინფორმაციო პაკეტი.....	78
12.4	დანართი 4 - კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს თანხმობა	81
12.5	დანართი 5 - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წერილი	82
12.6	დანართი 6 - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თანხმობა მცენარეული საფარის ჭრაზე.....	84
12.7	დანართი 7 - რეკულტივაციის გეგმის შეთანხმების დამადასტურებელი წერილი	85
12.8	დანართი 8 - გზდ-ს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმი	87
12.9	დანართი 9 - რეკულტივაციის გეგმა.....	89
12.10	დანართი 10 - საბადოს დამუშავების გეგმა.....	89
12.11	დანართი 11 - „მეორადი ინფექციური დაავადებების (ჯილეხის) გავრცელების პრევენციის მართვის გეგმა“.....	89

1. შესავალი

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზება-განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ასახულია მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული რეფორმების ოთხ პუნქტიან გეგმაშიც, გეგმის გათვალისწინებით სივრცითი მოწყობის პრიორიტეტული ამოცანაა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის მოდერნიზება, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად გარდაქმნაში და საქართველოს გავლით დააკავშირებს ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს თურქეთთან და ევროპასთან. აღნიშნული მაგისტრალის დაკავშირებას საქართველოს ძირითად სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე.წ. აბრეშუმის გზის გასწვრივ ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო როლის ზრდისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთავარი საავტომობილო გზების გაუმჯობესებასა და მოდერნიზებას. აღნიშნული პროგრამა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტროლს ექვემდებარება. მთლიანი ავტომაგისტრალის პროექტის სქემა მოიცავს ორ ნაწილს: თბილისი ბაკურციხე (დაახლოებით 80 კმ.) და წნორი-ლაგოდეხის მონაკვეთს (დაახლოებით 40 კმ), ჯამში 120 კმ. პროექტის სქემის ნაწილი სამშენებლო სამუშაოების მიხედვით იყოფა რამდენიმე ლოტად, ხოლო თავის მხრივ, სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თითოეული ლოტი დაყოფილია მონაკვეთებად, საიდანაც ერთ-ერთი მონაკვეთის ნინოწმინდა - თოხლიაურის (კმ27+840 - კმ35+500) სამუშაოების განხორციელება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად დაევალა ამხანაგობა შპს „მაქრო ქონსტრაქშენს“ (შემდგომში - კომპანია).

აღსანიშნავია, რომ საავტომობილო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა დიდი რაოდენობის სამშენებლო ნედლეული, რომლის შექმნა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ვერ მოხდება, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი არ არის მსხვილმასშტაბიანი კარიერები, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის განხორციელების საქმეში.

ზემოაღნიშნული პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით, კომპანიამ მონაწილეობა მიიღო სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში. შესაბამისად, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 17 აგვისტოს №750 ლიცენზია-ბრძანების საფუძველზე, შპს „მაქრო ქონსტრაქშენს“-ზე გაცემულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია (N750), საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქალაქ საგარეჯოსა და ყანდაურას ადმინისტრაციულ ერთეულში, „საგარეჯოს“ კვიშა-ხრემის მოპოვების მიზნით. სალიცენზიო ფართობი მოიცავს ორ სხვადასხვა უბანს. პირველი უბნის მიწის და სამთო მინაკუთვანის ფართობია 83 484 მ², ხოლო მეორე უბნის მიწის და სამთო მინაკუთვანის ფართობია 250 010 მ², ჯამური ფართობი შეადგენს 333 494 მ²-ს. ორივე უბანზე მოსაპოვებელი კვიშა-ხრემის ჯამური მოცულობა შეადგენს 4 835 000 მ³ -ს. პირველ უბანზე - 834 840 მ³, სიმძლავრე 10 მ. მეორე უბანზე - 4 000 160 მ³, სიმძლავრე 16მ.

შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას განახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

ზემოაღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის 26-ე პუნქტის შესაბამისად, წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია, წარმოადგენს გზმ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობას, რომელსაც წინ უძღვის სკოპინგის პროცედურა.

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად მომზადებული იქნა წინამდებარე სკოპინგის ანგარიში.

ცნობები საქმიანობის განმახორციელებელი და სკოპინგის მომამზადებელი საკონსულტაციო კომპანიის შესახებ მოცემულია ცხრილში N1.1.

ცხრილი N1.1

საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაკეშტის) ქ., N22
საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი
კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერი	445433120
კომპანიის კორპორატიული დირექტორი	მურათ ავჯი
საქმიანობის სახე	წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია
სკოპინგის ანგარიშის მომამზადებელი კომპანია	შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“
დირექტორი, საკონტაქტო ინფორმაცია	თინათინ ჟიჟიაშვილი; ტელ: 577 38 01 13; E-mail: tiko_zhizhiashvili@yahoo.com
მისამართი	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქ.#16

2. საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა


როგორც უკვე აღინიშნა, კომპანია გეგმავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას ღია კარიერული წესით. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №750 ლიცენზიით გამოყოფილი სამთო მინაკუთვნი მდებარეობს კახეთის რეგიონში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალაქ საგარეჯოსა და ყანდაურის ადმინისტრაციულ ერთეულის ტერიტორიაზე, ობიექტის აბსოლიტური სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 500-570 მეტრს.

სალიცენზიო ფართობი განთავსებულია კახეთის დაბალ მთიანეთის, გორაკ-ბორცვიანი რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. პირველი უბანი წარმოადგენს სამხრეთული ექსპოზიციის, 7-100 დახრილობის, მცირე მეჩხერ-ბუჩქნარიან ფერდს, ხოლო მეორე უბანი წარმოადგენს თხემური ნაწილის, დასავლური ექსპოზიციის 7-150 დახრილობის ფერდს.

ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან უახლოესი მოსახლე დამორებულია დაახლოებით 978 მეტრი მანძილით (ს/კ: 55.12.62.000.012), ხოლო მეორე უბნიდან დაახლოებით 712 მეტრი მანძილით (ს/კ: 55.06.60.037.603).

ცხრილი N2.1.1 - ლიცენზირებული ობიექტის ფართის კუთხეთა წვეროების მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:


N	x	y
I უბანი		
1	527618	4617790
2	527413	4617470
3	527247.6	4617775
4	527294	4617916
II უბანი		
N	X	Y
1	546370	4609045
2	546230	4608573
3	546689	4608448
4	546653	4608336
5	546536	4608348
6	546525	4608306
7	546396	4608337
8	546341	4608197
9	546141	4608272
10	546233	4608492
11	546025	4608526
12	546050	4608613
13	545999	4608664
14	546118	4609103
15	546204	4609107



სურ. 2.1.2 - ლიცენზირებული ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა ორივე უბნის დატანით



სურ. 2.1.3 - ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბანი უახლოესი საცხოვრებელი სახლის მითითებით



სურ. 2.1.4 - ლიცენზირებული ტერიტორიის მეორე უბანი უახლოესი საცხოვრებელი სახლის მითითებით

3. ალტერნატიული ვარიანტების განხილვა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მესამე პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სხვა საკითხებთან ერთად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განხილული იქნა შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები:

- არაქმედების ალტერნატივა;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;
- ტექნოლოგიური ალტერნატივები.

3.1 არაქმედების ალტერნატივა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზება-განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ასახულია მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული რეფორმების ოთხ პუნქტიან გეგმაშიც, გეგმის გათვალისწინებით სივრცითი მოწყობის პრიორიტეტული ამოცანაა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის მოდერნიზება, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად გარდაქმნაში და საქართველოს გავლით დააკავშირებს ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს თურქეთთან და ევროპასთან. აღნიშნული მაგისტრალის დაკავშირებას საქართველოს ძირითად სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე.წ. აბრეშუმის გზის გასწვრივ ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო როლის ზრდისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთავარი საავტომობილო გზების გაუმჯობესებასა და მოდერნიზებას. აღნიშნული პროგრამა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტროლს ექვემდებარება. მთლიანი ავტომაგისტრალის პროექტის სქემა მოიცავს ორ ნაწილს: თბილისი ბაკურციხე (დაახლოებით 80 კმ.) და წნორი-ლაგოდეხის მონაკვეთს (დაახლოებით 40 კმ), ჯამში 120 კმ. პროექტის სქემის ნაწილი სამშენებლო სამუშაოების მიხედვით იყოფა რამდენიმე ლოტად, ხოლო თავის მხრივ, სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თითოეული ლოტი დაყოფილია მონაკვეთებად, საიდანაც ერთ-ერთი მონაკვეთის ნინოწმინდა - თოხლიაურის (კმ27+840 - კმ35+500) სამუშაოების განხორციელება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად დაევალა ამხანაგობა შპს „მაქრო ქონსტრაქშენს“ (შემდგომში - კომპანია).

აღსანიშნავია, რომ საავტომობილო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა დიდი რაოდენობის სამშენებლო ნედლეული, რომლის შექმნა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ვერ მოხდება, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი არ არის მსხვილმასშტაბიანი კარიერები, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის განხორციელების საქმეში.

აქედან გამომდინარე, საქმიანობის არაქმედების ანუ ნულოვანი ალტერნატივა ნიშნავს, პროექტის განუხორციელებლობაზე უარის თქმას, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოებს.

3.2 სასარგებლო წიაღისეულის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოპოვების ალტერნატივა

როგორც უკვე აღინიშნა, საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია კახეთის საერთაშორისო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის განხორციელებით, რაც ქვეყნისთვის სტრატეგიულ ობიექტს წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე, რომ საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სამშენებლო სამუშაოების ეფექტურად წარმართვის მიზნით და ასევე რიგი ზემოქმედებების თავიდან აცილების მიზნით, როგორც გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, ისე ადგილობრივ მოსახლეობაზე და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, საქმიანობის განხორციელების ყველაზე რელევანტურ ადგილმდებარეობად განხილული იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, საპროექტო სამშენებლო მაგისტრალთან მიმდებარე ტერიტორიები.

ამ მიზნით, კომპანიამ მონაწილეობა მიიღო სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ აუქციონში და სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს“ 2023 წლის 17 აგვისტოს #750 ბრძანებით მიღებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია.

აღნიშნული ლიცენზია მოიცავს ქ. საგარეჯოს და ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ყანდაურას ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ორ სხვადასხვა უბანს. ორივე უბანი სტრატეგიულად ესაზღვრება საპროექტო საავტომობილო მაგისტრალს.

აღნიშნულ უბნებზე საქმიანობის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება საავტომობილო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების მომარაგება შესაბამისი რაოდენობის ბუნებრივი

რესურსით, რითიც თავიდან იქნება აცილებული საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის შეფერხება.

გარდა ამისა, კარიერის დამუშავების პროცესში დამატებით დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ გარკვეულ წვლილს შეიტანს რაიონის, კერძოდ კი საგარეჯოს და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

გარდა ამისა, გზის სამშენებლო სამუშაოებისთვის ნედლეულის სხვა მუნიციპალიტეტიდან შემოტანის საჭიროება არ იქნება, რითაც თავიდან იქნება აცილებული სატრანსპორტო ნაკადების ზრდა და სატრანსპორტო ნაკადების ზრდით გამოწვეული ზემოქმედება. ამასთან თავიდან იქნება აცილებული დასახლებული პუნქტის გავლით სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, რაც თავის მხრივ მინიმუმამდე დაიყვანს მოსახლეობის უკმაყოფილებას.

ლიცენზირებული უბნები არ ესაზღვრება საცხოვრებელ სახლებს, ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. რაც შეეხება მისასვლელ გზებს, დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობა საჭირო არ იქნება და გამოყენებული იქნება არსებული გზები.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში ორივე უბნისთვის დადგენილია სამთო მინაკუთვანის ფართობი და კოორდინატები. შესაბამისად, მსგავსი ტიპის საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ფაქტიურად არ არსებობს საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის ალტერნატიული ვარიანტები.

3.3 საქმიანობის განხორციელების ტექნოლოგიური ალტერნატივა

საბადოს დამუშავების ორი მეთოდი არსებობს დახურული (მიწისქვეშა) და ღია (კარიერული). ღია კარიერული მეთოდის დროს საბადოს დამუშავება ხდება ღია მეთოდით. თანამედროვე კარიერში ყველა სამთო სამუშაო (ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღება, ტრანსპორტირება და სხვ.) მექანიზირებულია.

კარიერიდან იღებენ სხვადასხვა მადნეულ და არამადნეულ სასარგებლო წიაღისეულს (ქვას, ქვიშას, თიხას და სხვ). კარიერის მთავარი საწარმოო ტექნიკური ელემენტებია საფეხურები, მისადგომები, სპირაჯოები და ბლოკები. ქანებსა და სასარგებლო წიაღისეულს ყოფენ ჰორიზონტალურ შრეებად, შრეებს კი - საფეხურებად. დამუშავებას იწყებენ ზედა საფეხურებიდან. წიაღის ამოღების პროცესი მიმდინარეობს თანამიმდევრული ზოლების - სპირაჯოების მიხედვით. სანგრევიდან სასარგებლო წიაღისეულის მიწის ზედაპირზე ამოსატანად კარიერში დახრილი კაპიტალური ტრანშეები გაყვანილი.

სასარგებლო წიაღისეულის დახურული მიწისქვეშა მოპოვების შემთხვევაში საჭიროა მიწისქვეშა გვირაბების და მაღაროების მოწყობა.

ალტერნატიული ვარიანტები შესაძლებელია განხილული იყოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, რაც გულისხმობს ალტერნატიული ვარიანტების უშუალოდ შედარების მეთოდს მათი ტექნიკურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით და წარმოადგენს ყველაზე უფრო გავრცელებულ მეთოდს სამთო საწარმოების დაპროექტების პრაქტიკაში.

იგი გამოიყენება ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორცაა კარიერის საზღვრებისა და ოპტიმალური მწარმოებლურობის განსაზღვრა, ტრანსპორტის, მექანიზაციის სქემის შერჩევა და სხვ. ამ მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ტექნიკურად შესაძლო და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი ვარიანტების რიცხვიდან მიიღება ვარიანტი საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომელიც ასევე აკმაყოფილებს ეკოლოგიურ მოთხოვნებს. ამოცანის გადაწყვეტის თანამიმდევრობა შემდეგია: ამოცანის პირობების მიხედვით იღებენ ტექნიკურად შესაძლო და ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილ ვარიანტებს, ასაბუთებენ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ კრიტერიუმს ვარიანტების შედარებისა და შეფასებისათვის. ასრულებენ გაანგარიშებებს, რომელთა საფუძველზეც საზღვრავენ მაჩვენებლების მნიშვნელობებს, რომლებიც მიჩნეულია გადამწყვეტ კრიტერიუმებად. აწარმოებენ ვარიანტების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას და შედარების გზით ირჩევენ ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ვარიანტს. მეთოდის გამოყენება მოითხოვს შემდეგი წესების დაცვას:

- ვარიანტების შერჩევა ეკონომიკური შედარებისათვის დაფუძნებული უნდა იყოს ამოცანის პირობების გულდასმით ანალიზზე, რომ დეტალური ანგარიშისათვის მიღებული იქნეს ნამდვილად ტექნიკურად შესაძლო ვარიანტები;
- რაც უფრო მეტია ვარიანტების რაოდენობა, მით უფრო მაღალია სიზუსტე და მეტია ამოცანის გადაწყვეტის შრომა ტევადობა. ამიტომ დეტალური ანგარიშისათვის აღებული უნდა იქნას ვარიანტების მინიმალური, მაგრამ საკმარისი რაოდენობა;
- ამოცანის გადაწყვეტის სიზუსტე ძირითადად დამოკიდებულია საწყისი მონაცემების სიზუსტეზე, ამიტომ საწყისი მონაცემები და მათი შესაბამისობა ამოცანის პირობებთან გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური კრიტერიუმის შერჩევას რომელზეც დამოკიდებულია ამოცანის გადაწყვეტის სისწორე და შრომა ტევადობა;
- ანგარიშების სიზუსტე და მიღებული გადაწყვეტათა უტყუარობა დამოკიდებულია დროზე, ამიტომ ვარიანტები შეიძლება იყოს შედარებადი იმ შემთხვევაში, თუ შესაძარბელი გადაწყვეტები მიეკუთვნება დაახლოებით ერთსა და იმავე დროს და აქვთ შეფასების დაახლოების თანაბარი ვადა. საწყისი მონაცემები (განსაკუთრებით ეკონომიკური მაჩვენებლები, ფასები, მასალების ხარჯვის ნორმატივები და სხვ.) უნდა მიეკუთვნებოდეს

დროის ერთსა და იმავე მომენტს. საწინააღმდეგო შემთხვევაში ისინი არაშედარებადი არიან, რადგანაც ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები სისტემატურად იცვლება დროში, ტექნიკური პროგრესის გავლენის შედეგად;

- გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ მნიშვნელოვანი ხარჯები და შემოსავლები. მნიშვნელოვნების საზომს წარმოადგენს მათი შეფარდებითი სიდიდე, რომელიც დგინდება ანგარიშების სიზუსტისაგან დამოკიდებულებით;
- ვარიანტები ფასდება და შედარდება მაჩვენებლების აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდის მიხედვით, რომელიც მიღებულია ეკონომიკურ კრიტერიუმად (ფარდობითი სიდიდე მიიღება პროცენტებში უმცირესი მაჩვენებლიდან). ვარიანტების შესადარებლად ჩვეულებრივ დგება ცხრილი შესადარებელი მაჩვენებლების აბსოლუტური და ფარდობითი სიდიდეებით.

თუ განსხვავება შესადარებელი ვარიანტების მაჩვენებლებში არ გამოდის ანგარიშის სიზუსტის ფარგლებიდან, ვარიანტები განიხილება როგორც ტოლფასნი. დაპროექტების პრაქტიკაში მიღებული ვარიანტები ჩაითვალოს ტოლფასად, თუ სხვაობა ხარჯებში არ აღემატება 5-10%-ს. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ვარიანტს, რომელიც უფრო მოხერხებულია ორგანიზაციული თვალსაზრისით ან ტექნიკურად უფრო საიმედოა. ვარიანტების მეთოდის ძირითადი დადებითი მხარეებია გამოყენების პირობების უნივერსალურობა, ამოცანების გადაწყვეტის სიზუსტე და გადაწყვეტათა შედეგების თვალსაჩინოება. ვარიანტების მეთოდი გამოიყენება ეკონომიკური ამოცანების დიდი ნაწილის გადასაწყვეტად, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა, გათვალისწინებული იქნეს სხვადასხვა პირობა და არ არის დაკავშირებული გადაწყვეტის მკაცრად განსაზღვრულ ალგორითმთან.

მეთოდის უარყოფით მხარეებს წარმოადგენს გადაწყვეტათა დიდი შრომა ტევადობა, რაც ამჟამად შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რომლებიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად იქნეს გაზრდილი ვარიანტების რიცხვი და უფრო ზუსტად იქნეს გათვლილი თითოეული მათგანი.

ზემოაღნიშნული ლიცენზიის ფარგლებში სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის (89778_ID_2023) მიხედვით ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე 10 მეტრია ხოლო, ლიცენზირებული ტერიტორიის მეორე უბანზე სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე 16 მეტრია. წიაღით სარგებლობის ორივე უბნის დამუშავების მეთოდად განსაზღვრულია ღია კარიერული წესი, რომელიც წარმოადგენს წიაღით სარგებლობის პროექტის პირობას, ხოლო წიაღით სარგებლობის პროექტის შედგენა და სააგენტოსთან შეთანხმება წარმოადგენს

სალიცენზიო პირობას, შესაბამისად, საბადოს დამუშავების სხვა ალტერნატიული მეთოდი ფაქტიურად არ არსებობს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საბადოს დაპროექტების ალტერნატიული ვარიანტების შერჩევა დამოკიდებულია საწყისი მონაცემების სიზუსტეზე (შპს „მაქრო კონსტრაქშენს“ სასარგებლო წიაღისეულის მარაგები დაუმტკიცდა P (პროგნოზული) კატეგორიით). ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნა სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე (10 და 16 მ) და ტექნოლოგიურ ალტერნატივად შერჩეული იქნა საბადოს დამუშავება ღია კარიერული წესით.

ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნის დამუშავება მოხდება 5 მეტრიანი საფეხურებით, ხოლო მეორე უბნის დამუშავება განხორციელდება 8 მეტრიანი საფეხურებით, რომელიც შესაძლოა დაიყოს 4-4 მეტრიან ქვე-საფეხურად.

4. პროექტის აღწერა

შპს „მაქრო კონსტრაქშენს“ ლიცენზირებული მარაგები შეადგენს 4 835 000 მ³-ს, რომლის მოპოვება ლიცენზიის პირობებით განსაზღვრულია 2023-2033 წლების პერიოდში. ამოღება უნდა მოხდეს 10 წელიწადში.

კარიერის ტერიტორიის სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია და მიეკუთვნება 1 მარტივ კატეგორიას.

ინერტიული მასალის დასამუშავებელი საბადო განლაგებულია კომუნიკაციურად ხელსაყრელ პირობებში, რადგან მის ახლოს არის წლის განმავლობაში შეუწყვეტლად მოქმედი საავტომობილო მაგისტრალი.

დასამუშავებლად გამოყოფილ ფართზე სასარგებლო წიაღის ამოღება ნავარაუდევია I-უბანზე საშუალოდ 10 მეტრ სიღრმემდე, ხოლო II-უბანზე საშუალოდ 16 მეტრ სიღრმემდე. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება განხორციელდება ღია კარიერული წესით, 8-10 მეტრიანი სპირაჯოების წინ წაწევით. სასარგებლო მასის ამოსაღებად გათვალისწინებულია ექსკავატორის გამოყენება. ტრანსპორტში წიაღისეული ჩაიტვირთება ექსკავატორით.

გამოვლინების ჰიდროგეოლოგიური პირობები დამაკმაყოფილებელია. თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების განვითარება უბანზე მოსალოდნელი არ არის. სასარგებლო ფენა თითქმის ჰორიზონტალურად არის ჩაწოლილი და აქვს რელიეფის თანხვედნილი დაქანება. რელიეფის ხელსაყრელი განლაგება საშუალებას იძლევა დამუშავება მოხდეს ღია წესით. საბადოს დამუშავება შპს „მაქრო კონსტრაქშენს“-ს გათვალისწინებული აქვს ბულდოზერისა და

CATERPILLAR მარკის ექსკავატორის გამოყენებით. ქვიშა-ხრემის ტრანსპორტირება განხორციელდება MAN ან DAF ტიპის ავტოთვიტმცლელებით.

დღეის მდგომარეობით, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თანხმობის საფუძველზე მოხსნილია მცენარეული საფარი, ხოლო ორივე უბანზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული რეკულტივაციის გეგმის შესაბამისად დაწყებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის და დასაწყობების სამუშაოები. ამ ეტაპზე კარიერზე მოპოვებითი სამუშაოები დაწყებული არ არის, როგორც უკვე აღინიშნა დაწყებულია მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის: წიაღისეული მასალის ლაბორატორიული შემოწმების მიზნით ტერიტორიებზე გაყვანილი იქნა ჭრილები და აღებული იქნა სანიმუშო მასალა. სსდ გარემოსდაცვითმა ზედამხედველობის დეპარტამენტმა ობიექტზე განხორციელებული სამუშაოები მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (79⁷ მუხლის I ნაწილი) და კომპანიის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (იხ. შესაბამისი დანართი).

4.1 კარიერის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის აღწერა:

როგორც უკვე აღინიშნა, საბადოს დამუშავების ორი მეთოდი არსებობს დახურული (მიწისქვეშა) და ღია (კარიერული). ღია კარიერული მეთოდის დროს საბადოს დამუშავება ხდება ღია მეთოდით. თანამედროვე კარიერში ყველა სამთო სამუშაო (ქანებისა და სასარგებლო წიაღისეულის ამოღება, ტრანსპორტირება და სხვ.) მექანიზირებულია.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კომპანიის სარგებლობაში არსებული ლიცენზიის ფარგლებში სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე 10 (პირველი უბანი) და 16 (მეორე უბანი) მეტრია და წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდად განსაზღვრულია ღია კარიერული წესი, საფეხურებრივად, მისი გახსნა განხორციელდება ტრანშეით, რომელიც ასევე ასრულებს გამკვეთის როლს. აღნიშნული მეთოდით საბადოს დამუშავება წარმოადგენს წიაღისარგებლობის სალიცენზიო პირობას.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია სარეკულტივაციო-აღდგენითი სამუშაოები. შესაბამისად, კომპანიას მომზადებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს საბადოს რეკულტივაციის გეგმა (იხ. დანართი).

ქვიშა-ხრემის მოპოვება იწარმოებს ექსკავატორის გამოყენებით. ჩამჩის ტევადობით 1.0-1.25 მ³. ტრანსპორტში წიაღისეულის ჩატვირთვა ასევე განხორციელდება ექსკავატორით. კარიერიდან კომპანიის მიერ მოწყობილ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე წიაღისეულის ტრანსპორტირება

განხორციელდება შიდა გზებით, ისე რომ მოსახლეობის გავლით დატვირთული მანქანების მოხვედრის საჭიროება არ იქნება.

ამრიგად, როგორც უკვე აღინიშნა, ლიცენზირებული ტერიტორიის ორივე უბანი დამუშავების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება პირველ, მარტივი სირთულის კატეგორიას. ამიტომ, საბადოს დამუშავება განხორციელდება საამფეთქებლო სამუშაოების გამოყენების და წინასწარი გაფხვიერების გარეშე მექანიკური ექსკავატორით.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი ტიპის კარიერების დამუშავების 2 მეთოდი არსებობს, ღია და დახურული. ღია მეთოდით კარიერის დამუშავება როგორც გარემოსდაცვითი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება დახურულ მეთოდთან მიმართებაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხორციელდება ძირითადად საამფეთქებლო სამუშაოების გამოყენებით, რასაც არ საჭიროებს ღია კარიერული წესით დამუშავება.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომპანიას მომზადებული და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან წარდგენილი აქვს კარიერის დამუშავების პროექტი (იხ. დანართი - კარიერის დამუშავების პროექტი).

4.2 ინფორმაცია საბადოზე არსებული მარაგების შესახებ

შპს „მაქრო ქონსტრაქშენს“ სასარგებლო წიაღისეულის მარაგები დაუმტკიცდა P (პროგნოზული) კატეგორიით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნა სასარგებლო წიაღისეულის საშუალო სიმძლავრე პირველ უბანზე 10, ხოლო მეორე უბანზე 16 მ. საბადოს დამუშავების ტექნოლოგიად შერჩეული იქნა საბადოს დამუშავება ღია კარიერული წესით, საფეხურებრივად. მისი გახსნა განხორციელდება ტრანშეით, რომელიც ასევე ასრულებს გამკვეთის როლს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის შესაბამისად, საბადოს ორივე უბანზე არსებული სავარაუდო პროგნოზული მარაგები შეადგენს 4 835 000 კუბ.მ-ს.

4.3 პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ხანგრძლივობა და ვადები

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, შპს „მაქრო ქონსტრაქშენზე“, 2023 წლის 19 აგვისტოს #750 ბრძანებით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცემულია 10 (ათი) წლის ვადით, 2023 წლის 17 აგვისტოდან 2033 წლის 18 აგვისტომდე. საბადოს დამუშავების გრაფიკი განისაზღვრება წელიწადში 260 დღითა და დღეში 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

4.4 საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და დასაქმებულების რაოდენობა

კარიერის დამუშავების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

#	დასახელება	რაოდენობა (ცალი)
1.	დამტვირთველი ექსკავატორი	8
2.	ბულდოზერი	2
3.	ავტოთვითმცლელი	20

ამასთან აღსანიშნავია, რომ საბადოს დამუშავების პროცესში გამოყენებული ტექნიკის განთავსებისთვის სპეციალური მოედნის მოწყობა საჭირო არ არის. მათი გაჩერება მოხდება საავტომობილო მაგისტრალისთვის განკუთვნილ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე.

რაც შეეხება კარიერის დამუშავების პროცესში დასაქმებულების რაოდენობას, გათვალისწინებულია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, მათი რაოდენობა დამოკიდებულია ტექნიკის რაოდენობაზე და შემდეგნაირად განისაზღვრება: 8 მძღოლი დამტვირთველ ექსკავატორისთვის, 20 მძღოლი ავტოთვითმცლელისთვის, 2 მძღოლი ბულდოზერისთვის და 2 მუშა.

ზემოთ მოცემული ტექნიკის და დასაქმებულების რაოდენობა პროპორციულად გადანაწილდება ლიცენზირებული კარიერის ორ უბანზე, ვინაიდან გათვალისწინებულია ორივე უბნის დამუშავება ერთმანეთის პარალელურად.

კარიერის დამუშავების დროს გამოსაყენებელი ტექნიკის საწვავით გამართვა მოხდება საავტომობილო მაგისტრალისთვის განკუთვნილ სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილი ნავთობპროდუქტების საცავის უბანზე და კარიერის ტერიტორიაზე საწვავის გამართვის უბნების მოწყობა გათვალისწინებული არ არის. ამასთან სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი განხორციელდება ბანაკის ტერიტორიაზე და ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებულ ტექნიკურ ცენტრებში.

კომპანიის დასაქმებულები გაივლიან სპეციალურ სწავლებას უსართხობის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, დასაქმებულებს პერიოდულად ჩაუტარდებათ სწავლებები გარემოს დაცვის და პროფესიული უსაფრთხოების საკითხებზე.

გარდა აღნიშნული სწავლებებისა, კომპანიის იმ პერსონალს, რომელსაც მუშაობა მოუწევს უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებებთან, გავლილი ექნება სპეციალური ტექნიკური სწავლებები და ასევე ექნებათ შესაბამისი ტექნიკის მართვის მოწმობა.

როგორც უკვე აღინიშნა, კარიერის ტერიტორიაზე ავტოსადგომის მოწყობა გათვალისწინებული არ არის და სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ტექნიკის გაყვანა მოხდება ტერიტორიიდან.

4.5 დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები

ლიცენზირებული ტერიტორიის არცერთ უბანზე რაიმე ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობა, მათ შორის დროებითი სათავსოს ან/და მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საოფისე შენობის, ასევე, სველი წერტილის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. თუმცა, ლიცენზირებული ტერიტორიის მეორე უბანზე, რომელიც საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული სამშენებლო ბანაკიდან, შესაძლოა განთავსდეს ბიოტუალეტი, რომელსაც მომსახურებას გაუწევს შესაბამისი კომპანია.

კარიერის დამუსავების ეტაპზე, ძირითადად გამოყენებული იქნება საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტისთვის განკუთვნილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორია (აღნიშნულ სამშენებლო ბანაკზე გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილება N 274/ს; 16/06/2023), რომელზედაც მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. კარიერის ტერიტორიაზე დასაქმებული პერსონალისთვის სასმელი წყლის შემოტანა მოხდება ბუტილიზირებული სახით.

4.6 კარიერზე მისასვლელი გზები

საპროექტო ტერიტორიამდე, როგორც პირველ, ისე მეორე უბანზე მისასვლელად გამოყენებული იქნება მშენებლობის ეტაპზე მყოფი თბილისი-ბაკურციხის საავტომობილო მაგისტრალის პირველი და მეორე ლოტის ნაწილები, რომლებიც ლიცენზირებულ უბნებამდე მისასვლელად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, კერძოდ ამ ეტაპზე გზა უკვე მოხრეშილია. გზის ვიზუალიზაცია იხ. სურათზე N4.7.1.

4.7 სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია


კარიერზე მოპოვებული ქვიშა-ხრემის ნედლეულის ნაწილი გადაიზიდება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილ სამსახვრევ დამხარისხებელ დანადგარში დამუშავების მიზნით, საიდანაც გადამუშავებული პროდუქციის ნაწილი გამოყენებული იქნება ადგილზე ბეტონის და ასფალტის საწარმოებლად, ხოლო ნაწილი გამოყენებული იქნება საავტომობილო გზის მშენებლობაში. რაც შეეხება მოპოვებული ნედლეულის ნაწილს, გადაუმუშავებელი სახით გამოყენებული იქნება ამავე გზის მშენებლობაში ქვედა ფენის მოსასწორებლად.

კარიერის ორივე უბნიდან სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ნედლეულის გადაზიდვა მოხდება კომპანიის თვითმცლელი ავტომანქანებით. ავტომანქანებზე ნედლეულის დატვირთვა მოხდება კომპანიის კუთვნილი ექსკავატორების საშუალებით. ნედლეულის ტრანსპორტირებისას, ამტვერების თავიდან აცილების მიზნით, ავტომანქანების ძარა იქნება გადახურულ მდგომარეობაში. თუმცა, ნედლეულით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების

გადაადგილება დასახლებული პუნქტის სიახლოვეს არ არის გათვალისწინებული, რადგან, II ლიცენზირებული ტერიტორიიდან სამშენებლო ბანაკამდე ტვირთების გადაზიდვა განხორციელდება საპროექტო ავტომაგისტრალის სამშენებლო გზის საშუალებით, რომელიც არ გადის დასახლებული პუნქტის სიახლოვეს. I უბნიდან ტრანსპორტირება მოხდება საკარიერო გზის გავლით და ასევე არ გაივლის დასახლებულ ტერიტორიას (I უბანი სამშენებლო ბანკის სიახლოვეს მდებარეობს - იხ. შესაბამისი რუკა).

ლიცენზირებული ობიექტიდან სამშენებლო ბანაკამდე ნედლეულის ტრანსპორტირებისთვის მისასვლელი მოცემულია სურათზე 4.7.1.

ნედლეულის ტრანსპორტირებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შემცირების მიზნით შემუშავდა შემარბილებელი ღონისძიებები, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკში.



სურათი 4.7.1 - ლიცენზირებული უბნებიდან სამშენებლო ბანაკამდე ტრანსპორტირებისთვის დაგეგმილი გზა

4.8 ინფორმაცია დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ

როგორც უკვე აღინიშნა, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბანი მდებარეობს სამშენებლო ბანაკის მომიჯნავედ (მოსაზღვრედ), ხოლო მეორე უბნიდან სამშენებლო ბანაკამდე მისასვლელი გზების გათვალისწინებით, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასახლებული პუნქტების გავლით არ მოხდება. თუმცა, პრევენციული ღონისძიებების სახით კომპანია უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდული სიჩქარით გადაადგილებას, მისასვლელი გზების მუდმივ მორწყვას, განსაკუთრებით მშრალ ამინდში (საჭიროების მიხედვით, დღეში დაახლ. 4-5-ჯერ) სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას გადახურული ძარით. ამასთან, კარიერზე ღამის საათებში სამუშაოები დაგეგმილი არ არის, შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას ღამის საათებში ადგილი არ ექნება.

აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვნად შეამცირებს ზემოქმედების რისკებს და უბედური შემთხვევების ალბათობას.

5. წიაღის მოპოვების პროცესში, ობიექტის სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების საკითხი, ჩამდინარე წყლების საკითხები

5.1 სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება, ჩამდინარე წყლები

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიაზე რაიმე ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობა, მათ შორის დროებითი სათავსოს ან/და მსუბუქი კონსტრუქციის მქონე საოფისე შენობის, ასევე, სველი წერტილის მოწყობა გათვალისწინებული არ არის.

დასაქმებულები ისარგებლებენ საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტისთვის გამოყოფილი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე უკვე არსებული ინფრასტრუქტურით, მათ შორის სველი წერტილებით. კარიერის ტერიტორიაზე დასაქმებული პერსონალისთვის სასმელი წყლის შემოტანა მოხდება ბუტილიზირებული სახით. რაც შეეხება ტექნიკურ წყალს, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტექნიკური წყლის გამოყენების საჭიროება არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიაზე ჩამდინარე საწარმოო და სამეურნეო-ფეკალური წყლების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველი უბანი უშუალოდ ესაზღვრება სამშენებლო ბანაკს, ხოლო მეორე უბნის შემთხვევაში საჭიროების მიხედვით შესაძლებელია მოეწყოს ბიოტუალეტი, რომელსაც მომსახურებას გაუწევს ლიცენზირებული კომპანია.

6. მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის და ფუჭი ქანების მოცულობა

შპს „მაქრო ქონსტრაქშენ“-ის მიერ სასარგებლო წიაღისეულის სამთო მინაკუთვანში, მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე, უკვე განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 66 700 მ³ (333 494 მ² (სალიცენზიო ფართობი)X0.2მ(ნიადაგის ნაყოფიერი ფენა) = 66 700 მ³).

აღსანიშნავია, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე ასევე მოსალოდნელია დაახლოებით 45 000 - 50 000 მ³ ფუჭი ქანების და არასტანდარტული ქვების წარმოქმნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარიერის ტერიტორიაზე განხორციელდა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტირება და დაფიქსირდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის პროცესი, რაზედაც დეპარტამენტის მიერ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.

7. გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა

7.1 საპროექტო ტერიტორიის კლიმატურ - მეტეოროლოგიური მონაცემები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარეში მდებარეობს. მუნიციპალიტეტის რელიეფი ზღვის დონიდან 460 მ-იდან 1,800 მ-ის ფარგლებში იცვლება. კლიმატი ზონალობის მიხედვით იცვლება. დაბალ ზონაში ზომიერად თბილი სტეპური ჰავაა გაბატონებული, ხოლო შედარებით მაღალ ზონაში ზომიერად ნოტიო. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 11°C - 12°C, ნალექების საშუალო წლიური მოცულობა კი 700-860 მმ. ნალექების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. უმაღლესი მწვერვალია მთა „ცივი“ (ზღვის დონიდან 1991 მეტრი

მონაცემები საპროექტო ტერიტორიის კლიმატური მაჩვენებლების შესახებ აღებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს №1-1/1743 ბრძანებით დამტკიცებული - დაპროექტების მონაცემების „სამშენებლო კლიმატოლოგიის“ მიხედვით.

ცხრილი N7.1.1 - საპროექტო ტერიტორიის ბარომეტრული წნევა

№	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ბარომეტრული წნევა (ჰპა)
1	41°44'	45°20'	806	930

როგორც უკვე აღინიშნა სამშენებლო-კლიმატური დარაიონების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია განეკუთვნება II რაიონს.

ცხრილი N7.1.2 - სამშენებლო-კლიმატური მახასიათებლები

№	კლიმატური რაიონი	კლიმატური ქვერაიონი	იანვრის საშუალო ტემპერატურა, °C	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, °C	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	II	IIბ	-5-დან -2-მდე	-	+21-დან +25-მდე	-

№	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, 0 C																			პერიოდი <8°C საშუალო თვიური ტემპერატურით		საშუალო ტემპერატურა 1.3 საათზე		
		საგარეუკო	თვის საშუალო												წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო	ხანგრძლივობა დღეებში	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისთვის	ყველაზე ცხელი თვისთვის
			იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	
1	საგარეუკო	-0,1	1,1	4,6	10,1	15,4	19,0	22,0	21,8	17,3	12,1	6,3	2,0	11,0	-24	38	27,9	-7	-12	-0,2	151	2,6	2,7	26,0	

ცხრილი N7.1.4 - ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

№	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C											
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
1	საგარეუკო	6,5	7,1	8,5	10,5	10,9	10,5	9,2	9,4	9,7	9,4	7,7	6,8	16,5	17,8	23,0	23,2	23,2	21,8	19,5	18,7	20,9	19,9	16,0	16,0

ცხრილი N7.1.5 - ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღელამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	საგარეჯო	71	69	69	68	69	66	64	63	70	75	76	72	69	61	52	14	23

ცხრილი N7.1.6 - ნალექების რაოდენობა

№	პუნქტის დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღელამური მაქსიმუმი, მმ
1	საგარეჯო	761	102

ცხრილი N7.1.7 - თოვლის საფარი

№	პუნქტის დასახელება	თოვლის საფარის წონა, კკა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	საგარეჯო	0,50	41	38

ცხრილი N7.1.8 - ქარის მახასიათებლები

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში									
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	
1	საგარეჯო	19	23	25	26	27	27/27	2/8	5/10	6/13	3/5	5/2	10/4	42/31	4,6/0,4	2,7/1,2	26	5	8	12	5	4	6	34	18	

ცხრილი N7.1.9 - გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

N	პუნქტის დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხვილის ხრემისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	საგარეჯო	7	8	9	10

7.2 ჰიდროლოგია

ლიცენზირებული ობიექტი მდებარეობს მდინარე იორის აუზში. იორი (აზერ. Qabırlı; ისტ. სახელწოდებები: კამბისი, ქაბრი, დანუხი, მცირე ალაზანი) — მდინარე საქართველოსა და აზერბაიჯანში. სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. ზემოწელში მიედინება ხეობაში, შუაწელზე კვეთს სამგორის ქვაბულს და ერთვის მინგეჩაურის წყალსაცავს. წარსულში იორი უერთდებოდა მდინარე ალაზანს მარჯვენა მხრიდან. იორის სიგრძეა 320 კმ, აუზის ფართობი — 4650 კმ². საზრდოობს ძირითადად თოვლისა და წვიმის წყლებით. იორის მარცხენა შენაკადებია: საგამი, გომბორი, ორვილი, ლაფიანხევი; მარჯვენა — ხაჩრულა, ქუსნო, აძეძი, გორანა და სხვა. ქვემო დინებაში აქვს დროებითი შენაკადები. წყლის საშუალო ხარჯი შესართავიდან 43 კმ-ში 12 მ³/წმ.

იორი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებისაა. იორის ხეობას დასაწყისში აქვს ვიწრო და ღრმა მთის ხეობის ფორმა, შემდგომ იგი გადადის თიანეთის ვაკეში, მასში ჩამდინარე ორი შენაკადით - ქუსნოთი და საგამით, მთავრდება სიონის ხეობით, სადაც სიონის წყალსაცავია შექმნილი. მდინარე იორი ივრის ზეგანს ორ: იორი-ალაზნის და იორი-მტკვრის ნაწილად ყოფს. ივრის მარცხენა ნაპირზე გავრცელებულია ნემომპალა-სულფატური და დამარილიანებული მიწები.


იორზე აგებულია მარეგულირებელი სიონის წყალსაცავი. ივრის წყლით შეიქმნა თბილისის წყალსაცავი ანუ „თბილისის ზღვა“. მდინარე ივრის ქვემო დინებაში გაშენებულია დალის მთის წყალსაცავი, რომლის წყლის მოცულობა უდრის 140,0 კმ³-ს. ივრის წყლით ირწყვის 90 ათ. ჰა-ზე მეტი ფართობი ივრის ზეგანზე. მდინარეზე აგებულია რამდენიმე სარწყავი სისტემა, რომელთაგან მთავარია სამგორის ზემო და ქვემო მაგისტრალური არხები.

7.3 გეოლოგია

ტექტონიკური დარაიონების მიხედვით ობიექტი მდებარეობს ამიერკავკასიის მთათაშუა არეში, აღმოსავლეთ მოლასური დაძირვის ზონაში, გარე კახეთის მოლასური ქვეზონა.

რაიონი აგებულია ცარცული მესამეული და მეოთხეული ასაკის ნალექებით, ტერიტორიაზე ვრცელდება ნეოგენური და მეოთხეული ასაკის ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, კონგლომერატებით, ქვიშით, ხრეშით, თიხნარით, ლიცენზირებულ ობიექტზე პროდუქტული ფენა წარმოდგენილია ქვიშახრეშით.

გეოსაინფორმაციო პაკეტის 89778_ID_2023-ის თანახმად საბადო განეკუთვნება I-ლ (მარტივი) სირთულის კატეგორიას, გეომორფოლოგიური თვალსაზრისით I-ლი უბანი მდებარეობს სამხრეთ ექსპოზიციის ფერდის 7-100 დახრილობის ფერდზე, ხოლო II- ე უბანი და დასავლური ექსპოზიციის 7-150 დახრილობის ფერდობზე. ორივე უბანი დაფარულია ნიადაგის ფენით.




სურ. 7.3.1 - რაიონის და ლიცენზირებული უბნების გეოლოგიური რუკა

7.4 ჰიდროგეოლოგია

ობიექტის განლაგებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიისათვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის მიწისქვეშა წყლების თხელი წყალშემცველი ჰორიზონტები, წყლის ლოკალიზებული და ზოგადად ნაკლები სიუხვის მაჩვენებლებით. ეს ტერიტორია მთლიანად მოიცავს ისეთ უბნებს, რომლებიც ხასიათდება ვულკანურ ქანებში არსებული სასმელად ვარგისი წყალშემცველი ჰორიზონტებით. უბნის ფარგლებში და მის მიდამოებში გრუნტის წყლების გამოსავალი არ აღინიშნება. გრუნტის წყლების მცირედებუტიანი გაფანტული და იშვიათი გამოსავლებია ღარტაფების ფსკერებზე ტერასული საფეხურის ახლოს. მიწისქვეშა წყლები არ ფიქსირდება 4.0 მ-დე ჭაბურღილშიც. ალუვიური ნალექები ამ სიღრმემდე პრაქტიკულად უწყლოა.

საწარმოსათვის გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლინება არ აღინიშნება. ტერიტორია მდგრადია და მომავალშიც ამ მდგრადობის დარღვევის წინაპირობა არ არსებობს.



სურ. 7.4.1 - რაიონის და ლიცენზირებული უბნების ჰიდროგეოლოგიური რუკა

7.5 ბიომრავალფეროვნება

7.5.1 ფლორა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი საქართველოს ფიტოგეოგრაფიული დაყოფის სქემის (გაგნიძე 1996) მიხედვით მიეკუთვნება: უძველესი ხმელთაშუა ზღვისპირეთის სამყაროს, სუბხმელთაშუა ზღვისპირეთის ოლქის, ამიერკავკასიის ან ივერიის პროვინცია, გარე კახეთის ფლორისტულ რაიონს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მცენარეულობა მრავალფეროვანია, სტეპური და სტეპურ-ბუჩქნარი ხასიათისაა, რომელშიც გარეულია ტყის ელემენტები. ბუჩქნარებიდან ძირითადად ფორმაციებს ქმნის ძეძვი (*Paliurus spina-christi*) ჯაგრცილასა (*Carpinus orientalis*) და შავჯაგასთან (*Rhamnus palasii*), კვრინჩხთან (*Prunus spinosa*), ბერყენებთან (*Pyrus salicifolia*) ერთად, ტყის ძირითადი შემქმნელი სახეობებია ქართული მუხა (*Quercus petraea* subsp. *iberica*), კავკასიური რცხილა (*Carpinus betulus*), რომელთაც შიგადაშიგ ერევათ ჩვეულებრივი ნუში (*Amygdalus communis*), ქართული ნუში (*Amygdalus georgica*), მინდვრის თელა (*Ulmus minor*), აკაკი (*Celtis caucasica*), საკმლის ხე (*Pistacia mutica*) და სხვა. ტყის შემქმნელი ძირითადი ფორმაციებია მუხნარები - ქართული მუხით (*Quercus petraea* subsp. *iberica*) და მუხნარ-რცხილნარები - ქართული მუხითა (*Quercus petraea* subsp. *iberica*) და კავკასიური რცხილით (*Carpinus betulus*) და სხვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ტიპურ მცენარეულობად შეიძლება ჩაითვალოს ვაციწვერიანი, ნაირმარცვლოვანი და ნაირბალახოვანი ველები. ვაციწვერიანი ველების ძირითადი შემქმნელია *Stipa tirsia* Stev. [= *S. stenophylla* Czern] და *Stipa pennata* L. [= *S. joanis* Celak]. ვაციწვერია ნაირბალახოვან ველებს უმთავრესად ქმნის *Stipa tirsia* Stev., და სხვა. მარცვლოვნებიდან უნდა აღინიშნოს *Bothriochloa ischaemum* (L.) Keng [= *Andropogon ischaemum* L.], *Festuca sulcata* (Hack.) Nym. p.p. [= *F. valesiaca* Gaudin; *F. rupicola* Heuff.], *Koeleria cristata* (L.) Pers. [= *Aira cristata* L.; *Koeleria gracilis* Pers.; *K. macrantha* (Ledeb.) Schult.], ნაირბალახოვანებიდან კი *Medicago polychroa* Grossh. [= *M. glutinosa* Bieb. subsp. *polychroa* (Grossh.) Sinsk.], *Galium verum* L. და სხვა.

რაც შეეხება უშუალოდ ლიცენზირებული უბნების კვლევას, ის განხორციელდა საველე-მარშრუტული და სისტემატიკურ-მორფოლოგიური რკვევის მეთოდების გამოყენებით, ტერიტორიის დათვალიერება მოხდა აგვისტოს თვეში.

ჩატარებული საველე მარშრუტული კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა შემდეგი: მეორე უბნის საპროექტო ტერიტორია მერქნიანი მცენარეებისაგან სრულიად თავისუფალია, ხოლო

რაც შეეხება პირველ უბანს, ჩატარებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული მერქნიანი მცენარეების და მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 7.5.1.1 – ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე არსებული მცენარეული საფარი

ლიცენზირებული ტერიტორიის I უბანი, მიწის ნაკვეთის ს.კ. 55.06.63.010.017					
N	სახეობა	რაოდენობა ჰა-ზე	სასიცოცხლო ფორმა	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	ძებვი (<i>Paliurus spina-christi</i>)	49	ბუჩქი	ჯანსაღი	მცენარეები დათვლილია ჯგუფურად, მასიური ჯგუფური ბუჩქნარების გამო
2	კვრინჩხი (<i>Prunus spinosa</i>)	18	ბუჩქი	ჯანსაღი	
3	ასკილი (<i>Rosa cannina</i>)	13	ბუჩქი	ჯანსაღი	

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიცენზირებული ტერიტორიის არცერთი უბანი არ მდებარეობს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან ზემოაღნიშნული მცენარეული საფარის მოხსნის საკითხი შეთანხმდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან (იხ. დანართი).

დღეის მდგომარეობით, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე არსებული საფარი მოხსნილია.



სურ. 7.5.1.2 - ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე არსებული მცენარეული საფარი



სურ. 7.5.1.3 - ლიცენზირებული ტერიტორიის მეორე უბანზე არსებული მცენარეული საფარი

7.5.2 ფაუნა

რეგიონისათვის დამახასიათებელია ფაუნის „შერეული“ ტიპი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ფაუნა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბინადრობენ როგორც სტეპის ისე მთის ტყისათვის დამახასიათებელი ცხოველები.

გომბორის ქედის ტყეებში ბინადრობენ შველი და მურა დათვი. თითქმის ყველგან გვხვდება კურდღელი, მგელი, მაჩვი, კვერნა, მელა, ტურა, დედოფალა; მცირე რაოდენობით არის ლელიანის კატა და ზოლებიანი აფთარი.

ორნითოფაუნას ქმნიან ხოხობი, გარეული მტრედი, მწყერი, კაჭკაჭი, კვირიონი, ყვავი და სხვ. მდინარე იორში მოიპოვება ქაშაპი, მტკვრის ტობი, გველანა, ფრიტა, ხრამული, მურწა და სხვა სახეობის თევზი.

რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო ტერიტორიებს, აღსანიშნავია, რომ ლიცენზირებული უბნები ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის საპროექტო საავტომობილო გზას, რის გამოც ლიცენზირებული და მისი მიმდებარე ტერიტორიები განიცდიან მაღალ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. იმის გათვალისწინებით, რომ საავტომობილო გზის მშენებლობა უკვე დაწყებულია ზემოქმედების დიდი ნაწილი უკვე მომხდარია, რაც გამოიხატება საბინადრო ადგილების მოშლით. აღნიშნული ზემოქმედება დროებითია და მას შემდეგ რაც დასრულდება გზის მშენებლობა და მოხდება ლიცენზირებული ტერიტორიების რეკულტივაცია, ცხოველთა სახეობების დიდი ნაწილი დაუბრუნდება საცხოვრებელ გარემოს.

საპროექტო ტერიტორიის საველე კვლევა დაიწყო 2023 წლის აგვისტოს თვეში, ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს განმეორებითი კვლევა. კვლევის მასალები წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

7.6 არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

ლიცენზირებული ტერიტორიის ორივე უბანზე, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კერების დადგენის მიზნით, დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარდა საველე კვლევა.

სტრატეგრაფიისთვის, შემოწმებული იქნა ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ჭრილები. ჭრილში ჩანდა ჰუმუსის, ქვა-ლორღის და თიხის ფენები. მისი ზედაპირული დათვალიერების შედეგად უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი/ობიექტები არცერთ უბანზე არ გამოვლენილა.

მოპოვებითი სამუშაოების განხორციელების დროს, ლიცენზირებული ტერიტორიის ორივე უბანზე აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის სპეციალისტის პერმანენტული მონიტორინგი რათა თავიდან იქნეს აცილებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ობიექტების დაზიანება-განადგურება. კულტურული ფენის გამოვლენის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ შეწყდეს მიწის სამუშაოები და ეს ინფორმაცია

მიწოდოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რათა სამომავლოდ დაიგეგმოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი აქტივობები.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანიამ მიმართა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს და მათი ინფორმაციით, ტერიტორიები არ წარმოადგენს სენსიტიურ ზონას, თუმცა სამუსაოები უნდა განხორციელდეს სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად (იხ. დანართი).

8. გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედების შეფასება

8.1 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

ჩატარებული საველე მარშრუტული კვლევის მიმდინარეობისას გამოვლინდა შემდეგი: მეორე უბნის საპროექტო ტერიტორია მერქნიანი მცენარეებისაგან სრულიად თავისუფალია, ხოლო რაც შეეხება პირველ უბანს, ჩატარებული კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული მერქნიანი მცენარეების და მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერის შესაბამის თავში.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიცენზირებული ტერიტორიის არცერთი უბანი არ მდებარეობს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდის ტერიტორიაზე. შესაბამისად, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბნიდან ზემომოაღნიშნული მცენარეული საფარის მოხსნის საკითხი შეთანხმდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიასთან (იხ. დანართი). დღეის მდგომარეობით, ლიცენზირებული ტერიტორიის პირველ უბანზე არსებული საფარი მოხსნილია.

რაც შეეხება ფაუნაზე ზემოქმედებას, აღსანიშნავია, რომ ლიცენზირებული უბნები ესაზღვრება საერთაშორისო მნიშვნელობის საპროექტო საავტომობილო გზას, რის გამოც ლიცენზირებული და მისი მიმდებარე ტერიტორიები განიცდიან მაღალ ანთროპოგენურ ზემოქმედებას. იმის გათვალისწინებით, რომ საავტომობილო გზის მშენებლობა უკვე დაწყებულია ზემოქმედების დიდი ნაწილი უკვე მომხდარია, რაც გამოიხატება საბინადრო ადგილების მოშლით. აღნიშნული ზემოქმედება დროებითია და მას შემდეგ რაც დასრულდება გზის მშენებლობა და მოხდება ლიცენზირებული ტერიტორიების რეკულტივაცია, ცხოველთა სახეობების დიდი ნაწილი დაუბრუნდება საცხოვრებელ გარემოს.

საპროექტო ტერიტორიის საველე კვლევა დაიწყო 2023 წლის აგვისტოს თვეში, ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს განმეორებითი კვლევა. კვლევის მასალები წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

8.2 ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურება, ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელების ეტაპზე, მიწისქვეშა გრუნტის წყლების დაბინძურება, მოსალოდნელი არ არის. თუმცა, მნიშვნელოვანია კარიერზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მანქანა-მექანიზმების გამართულ მდგომარეობაში მუშაობის საკითხს, რათა თავიდან იქნეს აცილებული საწვავ-საზეთი მასალების გრუნტის წყლებში მოხვედრა.

აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკში მოცემულია შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, რომელსაც საქმიანობის განხორციელების ეტაპზე განხორციელებს შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“.

რაც შეეხება ზედაპირული წყლის ობიექტებს, სალიცენზიო ფართობის პირველი უბნიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო კომპანიის საკუთრებაში არსებული სამელიორაციო არხი, ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 745 მეტრით. ხოლო სალიცენზიო ფართობის მეორე უბნიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. იორი, დაშორებულია დაახლოებით 1.18 კმ-ით. საპროექტო უბნებიდან ზედაპირული წყლის ობიექტების დაშორების მანძილებისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.



სურ. 8.2.2 - მეორე უბანი, სიტუაციური რუკა მდ. იორის დაშორების მითითებით

8.3 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე

შპს „მაქრო ქონსტრაქშენ“-ის მიერ სასარგებლო წიაღისეულის სამთო მინაკუთვნი, მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე, უკვე განხორციელდა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, რომლის საერთო მოცულობა შეადგენს 66 700 მ³ (333 494 მ² (სალიცენზიო ფართობი)X0.2მ(ნიადაგის ნაყოფიერი ფენა) = 66 700 მ³)

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და დასაწყობების ადგილები

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება განსაზღვრული სამთო მინაკუთვნის მთლიან უბანზე, პირველი უბანი (83 484 მ²) + მეორე უბანი (250 010 მ²) = 333 494 მ²

ცხრილი N8.3.1 - ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდა შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში

N	x	y
I უბანი		
1	527618	4617790
2	527413	4617470
3	527247.6	4617775
4	527294	4617916
II უბანი		
N	X	Y
1	546370	4609045
2	546230	4608573
3	546689	4608448
4	546653	4608336
5	546536	4608348
6	546525	4608306
7	546396	4608337
8	546341	4608197
9	546141	4608272
10	546233	4608492
11	546025	4608526
12	546050	4608613
13	545999	4608664
14	546118	4609103
15	546204	4609107

მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ამ ეტაპზე დასაწყობებულია სალიცენზიო ტერიტორიის კიდეზე, კერძოდ შემდეგი GPS კოორდინატების ფარგლებში:

ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბანი

	X	Y
1	527620	4617783
2	527617	4617779
3	527294	4617918
4	527292	4617913

ლიცენზირებული ტერიტორიის მეორე უბანი

	X	Y
1	546233	4608581
2	546228	4608583
3	546368	4609068
4	546363	4609070

საქართველოს კანონის „ნიადაგის დაცვის შესახებ“ მუხლი 4-ის პუნქტების ბ), დ), ი), და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 424 დადგენილების ტექნიკური რეგლამენტისა და ასევე კომპანიაზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობის გათვალისწინებით დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სალიცენზიო ფართობის ბიოლოგიური რეკულტივაციისათვის.

ფუჭი ქანის დასაწყობების კოორდინატები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე მოსალოდნელია დაახლოებით 45 000-50 000 მ³ ფუჭი ქანების და არასტანდარტული ქვების წარმოქმნა. სარეკულტივაციო ფართობზე მოხსნილი ფუჭი ქანი და არასტანდარტული ქვა დროებით დასაწყობდება სალიცენზიო ტერიტორიების კიდეზე, კერძოდ: პირველ უბანზე-სალიცენზიო ფართობის N3 (X-527247; Y-4617775) და N4 (X-527294; Y-4617916) კოორდინატებს შორის, ხოლო მეორე უბანზე-სალიცენზიო ფართობის N14 (X-546118; Y-4609103), N15 (X-546204; Y-4609107) და N1(X-546370; Y-4609045) კოორდინატებს შორის. დასაწყობებული ფუჭი ქანები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტერიტორიის ტექნიკური რეკულტივაციის მიზნებისთვის, საკითხი დაზუსტდება გზმ-ის ეტაპზე.


8.4 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და ტყის ფონდის მიწებზე

როგორც უკვე აღინიშნა, სალიცენზიო ობიექტის პირველი უბნიდან უახლოესი დაცული ტერიტორია - მარიამჯვრის ნაკრძლი დაშორებულია დაახლოებით 4.3 კმ-ით, ხოლო უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი GE0000020 - მარიამჯვარი, რომელიც ემთხვევა მარიამჯვრის ნაკრძალს დაშორებულია ასევე 4300 მ-ით. სალიცენზიო ობიექტის მეორე უბნიდან უახლოესი დაცული ტერიტორია - ყორულის აღკვეთილი დაშორებულია 1029 მ-ით, ხოლო უახლოესი ზურმუხტის ქსელის საიტი GE0000027 - გომბორი, დაშორებულია დაახლოებით 8.95 კმ-ით. საქმიანობის სპეციფიკისა და დაშორები მანძილების გათვალისწინებით, საქმიანობის


განხორციელების ეტაპზე დაცულ ტერიტორიებსა და ზურმუხტის ქსელის საიტებზე რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

რაც შეეხება ტყის ფონდის მიწებს, პირველი უბნიდან უახლოესი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდში არსებულ ტერიტორია დაშორებულია დაახლოებით 850 მეტრით, ხოლო მეორე უბნიდან დაახლოებით - 2,2 კილომეტრით შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან ტყის ფონდის მიწების დაშორების მანძილებისა და დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მათზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სიტუაციური გეგმა



სურ. 8.4.1 - უბანი I ზურმუხტის ქსელის, დაცული ტერიტორიებისა და ტყის ფონდის მიწების მითითებით




სურ. 8.4.2 - უბანი II ზურმუხტის ქსელის, დაცული ტერიტორიებისა და ტყის ფონდის მიწების მითითებით

8.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

როგორც უკვე აღინიშნა, ლიცენზირებული ტერიტორიის ორივე უბანზე, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კერების დადგენის მიზნით, დარგის სპეციალისტების მიერ ჩატარდა საველე კვლევა. საველე კვლევისას უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი/ობიექტები არცერთ უბანზე არ გამოვლენილა. ამასთან, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს ინფორმაციით, ლიცენზირებული უბნები არ წარმოადგენს სენსიტიურ ზონას.

ლიცენზირებულ ტერიტორიებზე მოპოვებითი სამუშაოები განხორციელდება დიდი სიფრთხილით, სააგენტოს რეკომენდაციის შესაბამისად, რითაც თავიდან იქნება აცილებული ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე/ნიმუშებზე.

სიტუაციური გეგმა



სურ. 8.5.1 - პირველი უბანი, სიტუაციური რუკა უახლოესი კულტურული ძეგლის მითითებით



სურ. 8.5.2 - მეორე უბანი, სიტუაციური რუკა უახლოესი კულტურული ძეგლის მითითებით

8.6 ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

როგორც დასაქმებულების, ისე გარეშე პირების უსაფრთხოებასთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკები შესაძლოა გამოიწვიოს სატრანსპორტო საშუალებების არასწორმა ექსპლუატაციამ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების დაზიანება. აღნიშნული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, კომპანიას საპროექტო ტერიტორიაზე მუდმივად ეყოლება შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მენეჯერი, რომელიც მუდმივად, სამუშაო დღის დაწყებამდე და სამუშაო დღის მსვლელობის დროს განახორციელებს სატრანსპორტო საშუალებების გამართულობის კონტროლს, დასაქმებულების კონტროლს ალკო ტესტზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმებულები მუდმივად გაივლიან სწავლებას შრომის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ტექნიკურ საკითხებზე.

ადამიანების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მომსახურე პერსონალი აღჭურვილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

ამასთან, კომპანიის ავტომობილებზე დაწესდება გადაადგილების სიჩქარის მონიტორინგი და ნედლეულით დატვირთული სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება მოხდება ძარაგადახურულ მდგომარეობაში. შესაბამისი შემარბილებელი და სამონიტორინგო ღონისძიებები მოცემულია წინამდებარე დოკუმენტის შემარბილებელი ღონისძიებებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში.

8.7 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, დაკავშირებულია საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხის ავტომაგისტრალის მშენებლობასთან.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზება-განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული ასახულია მთავრობის მიერ ბოლო პერიოდში შემუშავებული რეფორმების ოთხ პუნქტიან გეგმაშიც, გეგმის გათვალისწინებით სივრცითი მოწყობის პრიორიტეტული ამოცანაა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის მოდერნიზება, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს რეგიონულ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ცენტრად გარდაქმნაში და საქართველოს გავლით დააკავშირებს ცენტრალურ აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს თურქეთთან და ევროპასთან. აღნიშნული მაგისტრალის დაკავშირებას საქართველოს ძირითად სასაზღვრო გამტარ პუნქტებთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ე.წ. აბრეშუმის გზის გასწვრივ ჩვენი ქვეყნის სატრანზიტო როლის ზრდისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით, დაიწყო პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთავარი საავტომობილო გზების გაუმჯობესებასა და მოდერნიზებას. აღნიშნული პროგრამა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტროლს ექვემდებარება. მთლიანი ავტომანქანების პროექტის სქემა მოიცავს ორ ნაწილს: თბილისი ბაკურციხე (დაახლოებით 80 კმ.) და წნორი-ლაგოდეხის მონაკვეთს (დაახლოებით 40 კმ), ჯამში 120 კმ. პროექტის სქემის ნაწილი სამშენებლო სამუშაოების მიხედვით იყოფა რამდენიმე ლოტად, ხოლო თავის მხრივ, სამუშაოების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, თითოეული ლოტი დაყოფილია მონაკვეთებად, საიდანაც ერთ-ერთი მონაკვეთის ნინოწმინდა - თოხლიაურის (კმ27+840 - კმ35+500) სამუშაოების განხორციელება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად დაევალა ამხანაგობა შპს „მაქრო ქონსტრაქშენს“ (შემდგომში - კომპანია).

ვინაიდან საავტომობილო მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად საჭიროა დიდი რაოდენობის სამშენებლო ნედლეული, რომლის შექმნა ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ვერ ხერხდება, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი არ არის მსხვილმასშტაბიანი კარიერები, რაც თავის მხრივ ხელისშემშლელი ფაქტორია საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობის პროექტის განხორციელების საქმეში, კომპანიამ თავად მიიღო ღირებულება იმ სამშენებლო მასალი მოპოვებაზე რაც მშენებლობის პროცესშია საჭირო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი პროექტის განხორციელება დაკავშირებულია ისეთი საერთაშორისო მშენებლობის მქონე პროექტთან, რომელიც თავის მხრივ დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური პირობებს გაუმჯობესებაში, შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობა, გრძელვადიან ჭრილში, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოზე დადებითი შედეგის მომტანია. ამასთან, მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება სოციალურ გარემოზე გამოიხატება ადგილობრივი მაცხოვრებლების დასაქმებით.

8.8 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

როგორც უკვე აღინიშნა, დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო და ასევე მისი მიმდებარე ტერიტორიებზე გეოდინამიკური ვითარება სტაბილურია და გეოდინამიკური გართულება მოსალოდნელი არ არის.

საინჟინრო - გეოლოგიური თვალსაზრისით, ობიექტი მიეკუთვნება I (მარტივი სირთულის) კატეგორიას. სასარგებლო წყება წარმოდგენილია ქვიშა-ხრეშით, რომელიც ზედაპირზე

გამოდის. გეოლოგიური და გეომორფოლოგიური აგებულება და დამუშავების გამოყენებული სისტემა (ღია კარიერული წესით, საფეხურებრივად, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების გარეშე) გამორიცხავს მეწყრულ, ჩაქცევით ან სხვა უარყოფით დინამიურ პროცესების განვითარებას და არ გამოიწვევს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ცვლილებებს.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დროს განხორციელდება პერიოდული მონიტორინგი შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ. საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება შემარბილებელი ღონისძიებები.

8.9 ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე

მოთხოვნები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებით დგინდება შესაბამისი ნორმებით.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოსალოდნელია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე, მიწის სამუშაოების გამო, ვინაიდან მოპოვებული იქნება მშრალი ნედლეული, რომელსაც ახასიათებს ამტვერება. თუმცა, იმის გათვალისწინებით რომ ლიცენზირებული ტერიტორიის პირველი უბანი დაახლოებით 978 მეტრით, ხოლო მეორე უბანი დაახლოებით 712 მეტრით არის დამორებული დასახლებული პუნქტიდან, კარიერის დამუშავების დროს მოსალოდნელი ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე ნაკლებ სავარაუდოა. ამასთან, ნედლეულის ტრანსპორტირება როგორც სამშენებლო ბანაკის, ისე საავტომობილო გზის სამშენებლო ტერიტორიაზე განხორციელდება ძარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებებით.

გარდა ამისა, საქმიანობის განხორციელების პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავებიდან ნამწვი აირების გაფრქვევას და მათი მოძრაობის შედეგად მტვრის გავრცელებას.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტულ და საანგარიშო მეთოდებს განსაზღვრავს შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტი.

მოძრავი წყაროებიდან, მაგ. სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ძრავებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციისთვის გამოყენებული იქნა მეთოდიკა, ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების ინვენტარიზაციის საანგარიშო მეთოდი.

ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დაბინძურების ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებულია მიდგომა, სადაც გათვალისწინებულია ტიპური სამშენებლო ტექნიკის ფუნქციონირება.

გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან იდენტიფიცირებულია დაბინძურების შემდეგი ძირითადი წყაროები: ექსკავატორი, ბულდოზერი, თვითმცლელეები. ეს მექანიზმები მუშაობენ საწვავის გამოყენებით და მათი გამონაბოლქვი შეფასებულია საექსპლუატაციო სიმძლავრის გათვალისწინებით მოქმედ ნორმატიულ და საცნობარო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

ჰაერის დაბინძურება დაკავშირებული იქნება ასვე მტვრის გავრცელებასთან. მტვრის ფართო მასშტაბზე გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესდება კონტროლი და გათვალისწინებული იქნება ტერიტორიების პერიოდული დანამვა, ამასთან გზმ-ის ეტაპზე დაიგეგმება მონიტორინგი საკითხები.

8.9.1 ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანის (ექსკავატორის) მუშაობისას

დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების ძრავები მუშაობისას დატვირთვისა და უქმი სვლის რეჟიმში.

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები სატრანსპორტო საშუალებებიდან მოცემულია ცხრილში 8.9.1.1

ცხრილი 8.9.1.1 - დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები სატრანსპორტო საშუალებებიდან

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	0,0327924	0,140718
304	აზოტის (II) ოქსიდი	0,0053272	0,02286
328	ჰვარტლი	0,0045017	0,019316
330	გოგირდის დიოქსიდი	0,00332	0,0142335
337	ნახშირბადის ოქსიდი	0,0273783	0,1170125
2732	ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	0,0077372	0,033154

განგარიშება შესრულებულია საგზაო-სამშენებლო მანქანების (სსმ) სამუშაო მოედნის გარემო პირობებში. სამუშაო დღეების რაოდენობა შეადგენს 260 სამუშაო დღეს, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის განგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 8.9.1.2.

ცხრილი N8.9.1.2 - გაანგარიშების საწყისი მონაცემები

საგზაო-სამშენებლო მანქანების (სსმ) დასახელება	რ-ბა	ერთი მანქანის მუშაობის დრო							მუშა დღეების რ-ბა
		დღეში, სთ				30 წთ-ში, წთ			
		სულ	დატვირთვის გარეშე	დატვირთვით	უქმი სვლა	დატვირთვის გარეშე	დატვირთვით	უქმი სვლა	
მუხლუხა სსმ, სიმძლავრით 61-100 კვტ (83-136 ცხ.ძ)	1 (1)	8	3,5	3,2	1,3	13	12	5	150

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

i-ური ნივთიერების მაქსიმალური - ერთჯერადი ემისია ხორციელდება ფორმულით:

$$G_i = \sum_{k=1}^n (m_{\text{ДВ } ik} \cdot t_{\text{ДВ}} + 1,3 \cdot m_{\text{ДВ } ik} \cdot t_{\text{НАГР}} + m_{\text{XX } ik} \cdot t_{\text{XX}}) \cdot N_k / 1800, \text{ გ/წმ};$$

სადაც

$m_{\text{ДВ } ik}$ – k-ური ჯგუფისათვის i-ური ნივთიერების კუთრი ემისია მანქანის მოძრაობისას დატვირთვის გარეშე, გ/წთ;

$1,3 \cdot m_{\text{ДВ } ik}$ – k-ური ჯგუფისათვის i-ური ნივთიერების კუთრი ემისია მანქანის მოძრაობისას დატვირთვით, გ/წთ;

$m_{\text{ДВ } ik}$ – k-ური ჯგუფისათვის i-ური ნივთიერების კუთრი ემისია მანქანის მოძრაობისას უქმი სვლის რეჟიმზე, გ/წთ;

$t_{\text{ДВ}}$ -მანქანის მოძრაობის დრო 30 წთ-იან ინტერვალში დატვირთვის გარეშე, წთ;

$t_{\text{НАГР}}$ -მანქანის მოძრაობის დრო 30 წთ-იან ინტერვალში დატვირთვით, წთ;

t_{XX} -მანქანის მოძრაობის დრო 30 წთ-იან ინტერვალში უქმი სვლის რეჟიმზე, წთ;

N_k – k-ური ჯგუფის მანქანების რ-ბა, რომლებიც მუშაობენ ერთდროულად 30 წთ-იან ინტერვალში;

i-ური ნივთიერების ჯამური ემისია საგზაო მანქანებიდან გაიანგარიშება ფორმულით:

$$M_i = \sum_{k=1}^n (m_{\text{ДВ } ik} \cdot t'_{\text{ДВ}} + 1,3 \cdot m_{\text{ДВ } ik} \cdot t'_{\text{НАГР}} + m_{\text{XX } ik} \cdot t'_{\text{XX}}) \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ};$$

სადაც $t'_{\text{ДВ}}$ – k-ური ჯგუფის მანქანების მოძრაობის ჯამური დრო დატვირთვის გარეშე, წთ;

$t'_{\text{НАГР}}$ – k-ური ჯგუფის მანქანების მოძრაობის ჯამური დრო დატვირთვით, წთ;

t'_{XX} – k-ური ჯგუფის მანქანების მოძრაობის ჯამური დრო უქმი სვლის რეჟიმზე, წთ;

დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანის მუშაობისას, მოცემულია ცხრილში N8.9.1.3.

ცხრილი N8.9.1.3 - დამაბინძურებელ ნივთიერებათა კუთრი ემისია

საგზაო-სამშენებლო მანქანების (სსმ) ტიპი	დამაბინძურებელი ნივთიერება	მოძრაობა	უქმი სვლა
მუხლუხა სსმ, სიმძლავრით 61-100 კვტ(83-136 ცხ.ძ)	აზოტის დიოქსიდი (აზოტის (IV) ოქსიდი)	1,976	0,384
	აზოტის (II) ოქსიდი	0,321	0,0624
	ჰვარტილი	0,27	0,06
	გოგირდის დიოქსიდი	0,19	0,097
	ნახშირბადის ოქსიდი	1,29	2,4
	ნახშირწყალბადების ნავთის ფრაქცია	0,43	0,3

დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური და მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

$$G_{301} = (1,976 \cdot 12 + 1,3 \cdot 1,976 \cdot 13 + 0,384 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0327924 \text{ გ/წმ};$$

$$M_{301} = (1,976 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,5 \cdot 60 + 1,3 \cdot 1,976 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,2 \cdot 60 + 0,384 \cdot 1 \cdot 280 \cdot 1,3 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,262674 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{304} = (0,321 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,321 \cdot 13 + 0,0624 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0053272 \text{ გ/წმ};$$

$$M_{304} = (0,321 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,5 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,321 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,2 \cdot 60 + 0,0624 \cdot 1 \cdot 280 \cdot 1,3 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,042672 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{328} = (0,27 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,27 \cdot 13 + 0,06 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0045017 \text{ გ/წმ};$$

$$M_{328} = (0,27 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,5 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,27 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,2 \cdot 60 + 0,06 \cdot 1 \cdot 280 \cdot 1,3 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,036056 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{330} = (0,19 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,19 \cdot 13 + 0,097 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,00332 \text{ გ/წმ};$$

$$M_{330} = (0,19 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,5 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,19 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,2 \cdot 60 + 0,097 \cdot 1 \cdot 280 \cdot 1,3 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,026569 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{337} = (1,29 \cdot 12 + 1,3 \cdot 1,29 \cdot 13 + 2,4 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0273783 \text{ გ/წმ};$$

$$M_{337} = (1,29 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,5 \cdot 60 + 1,3 \cdot 1,29 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,2 \cdot 60 + 2,4 \cdot 1 \cdot 150 \cdot 1,3 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,218447 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{2732} = (0,43 \cdot 12 + 1,3 \cdot 0,43 \cdot 13 + 0,3 \cdot 5) \cdot 1/1800 = 0,0077372 \text{ გ/წმ};$$

$$M_{2732} = (0,43 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,5 \cdot 60 + 1,3 \cdot 0,43 \cdot 1 \cdot 280 \cdot 3,2 \cdot 60 + 0,3 \cdot 1 \cdot 280 \cdot 1,3 \cdot 60) \cdot 10^{-6} = 0,061887 \text{ ტ/წელ}.$$

ექსკავატორის მუშაობისას მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q_{ექს} \times E \times K_{ექს} \times K_1 \times K_2 \times N/T_{06}, \text{ გ/წმ, სადა:}$$

$$Q_{ექს} = \text{მტვრის კუთრი გამოყოფა } 1\text{მ}^3 \text{ გადატვირთული მასალისგან, გ/მ}^3$$

$$E - \text{ციცხვის ტევადობა, მ}^3 [0,7-1]$$

$$K_{ექს} - \text{ექსკავაციის კოეფიციენტი. [0,91]}$$

$$K_1 - \text{ქარის სიჩქარის კოეფ. (K}_1=1,2);$$

$$K_2 - \text{ტენიანობის კოეფ. (K}_2=0,2);$$

N-ერთდროულად მომუშვე ტექნიკის რ-ბა (ერთეული);

T_{36} -ექსკავატორის ციკლის დრო, წმ. [30];

$$M = Q_{\text{ექს}} \times E \times K_{\text{ექს}} \times K_1 \times K_2 \times N / T_{36} = 4,8 * 1 * 0,91 * 1,2 * 0,2 * 1 / 30 = 0,035 \text{ გ/წმ.}$$

ექსკავატორის მუშაობისას მტვრის ჯამური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$G = M \times 3600 \times T \times 10^{-6} = 0,035 \times 3600 \text{ წმ} \times 8 \text{ სთ} \times 280 \text{ დღ} \times 10^{-6} = 0,2828 \text{ ტ/წელ.}$$

8.9.2 ემისია საგზაო-სამშენებლო მანქანის (თვითმცლელის) მუშაობისას

აირადი ნივთიერებების გაფრქვევა იდენტურია რაც ექსკავატორის, ხოლო შეწონილი ნაწილაკების მაქსიმალური ემისია გაიანგარიშება შემდეგნაირად: $G = (Q_{\text{ბულ}} \times Q_{\text{სიმ}} \times V \times K_1 \times K_2 \times N) / (T_{\text{ბც}} \times K_{\text{გკ}})$, გ/წმ;

სადაც:

$Q_{\text{ბულ}}$ - მტვრის კუთრი გამოყოფა 1ტ. გადასატანი მასალისაგან, გ/ტ -0,74

$Q_{\text{სიმ}}$ - ქანის სიმკვრივე (ტ/მ³-1,6).

K_1 - ქარის სიჩქარის კოეფ. ($K_1=1,2$);

K_2 - ტენიანობის კოეფ. ($K_2=0,2$);

N-ერთდროულად მომუშვე ტექნიკის რ-ბა (ერთეული);

V - პრიზმის გადაადგილების მოცულობა (მ³) 3,5

$T_{\text{ბც}}$ - მანქანის ციკლის დრო, წმ, 80.

$K_{\text{გკ}}$ - ქანის გაფხვიერების კოეფ. ($K_{\text{გკ}} - 1,15$)

$$G = (Q_{\text{ბულ}} \times Q_{\text{სიმ}} \times V \times K_1 \times K_2 \times N) / (T_{\text{ბც}} \times K_{\text{გკ}}) = 0,74 * 1,6 * 3,5 * 1,2 * 0,2 * 1 / (80 * 1,15) = 0,011 \text{ გ/წმ}$$

თვითმცლელის მუშაობისას მტვრის ჯამური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$G = M \times 3600 \times T \times 10^{-6} = 0,011 \times 3600 \text{ წმ} \times 8 \text{ სთ} \times 260 \text{ დღ} \times 10^{-6} = 0,0044 \text{ ტ/წელ.}$$

ვინადან ზემოთ აღნიშნული ტექნიკა არ წარმოადგენენ სტაციონარულ წყაროებს (ისინი წარმოადგენენ მოძრავ წყაროებს) ამიტომ მათ მიერ ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებებზე არ დგინდება გაფრქვევის ნორმები, ასევე არ ხორციელდება მიწისპირა კონცენტრაციების ანგარიში პროგრამული საშუალებით.

8.10 ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება და მოსალოდნელი ზემოქმედება

კარიერის დამუშავების პროცესსთან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყარო იქნება სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება უშუალოდ კარიერის დამუშავება და ტრანსპორტირება. თუმცა, ლიცენზირებულ უბნებთან მოსახლეობის საკმაო სიმორის გამო, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

ხმაურის გავრცელების ზღვრულად დასაშვები დონეები რეგულირდება ტექნიკური რეგლამენტით – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით.

ხმაური არის სხვადასხვა სიხშირის და ინტენსივობის ბგერების მოუწესრიგებელი ერთობლიობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. ხმაურის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი პროცესი, რომელსაც მყარ, თხევად ან აიროვან გარემოში შეუძლია გამოიწვიოს წნევა ან მექანიკური რხევები. ხმაურს გააჩნია განსაზღვრული სიხშირე ან სპექტრი, რომელიც გამოისახება ჰერცებში და ბგერითი წნევის დონის ინტენსივობა, რომელიც იზომება დეციბელებში. ადამიანის სმენას შეუძლია გაარჩიოს ბგერის ის სიხშირეები, რომლებიც იცვლებიან 16-დან 20000 ჰერცის ფარგლებში.

ხმაურის გაზომვა, ანალიზი და სპექტრის რეგისტრაცია ხდება სპეციალური იარაღებით, როგორცაა: ხმაურმზომი და დამხმარე ხელსაწყოები (ხმაურის დონის თვითმწერი მაგნიტოფონი, ოსცილოგრაფი, სტატისტიკური გამანაწილებლების ანალიზატორი, დოზიმეტრი და სხვა).

ხმაურის ინტენსივობის (დონის) გასაზომად ასვე რეკომენდირებულია ლოგარითმული სკალის გამოყენება, რომელშიც ყოველი საფეხური 10-ჯერ მეტია წინანდელზე. ხმაურის ორი დონის ასეთ თანაფარდობას უწოდებენ ბელს. ის განისაზღვრება ფორმულით:

$$I_b = 10 \lg(I/I_0) \quad (1)$$

სადაც I – ბგერითი წნევის განსახილველი დონეა, პა;

I_0 – ადამიანის ყურის სმენადობის ზღვარია და უდრის $2 \cdot 10^{-5}$ პა.

ერთიანი და თანაბრად დაშორებული წერტილებისათვის ხმაურის ჯამური (L_j) დონე გამოითვლება ფორმულით:

$$L_j = L_1 + 10 \lg n, \text{ დბ} \quad (2)$$

სადაც L_1 – ერთი წყაროდან ხმაურის დონეა, დბ ($1 \text{ დბ} = 10 \text{ ბ}$)

n – ხმაურის წყაროს რიცხვია.

$10 \lg n$ არის ხმაურის ერთი წყაროს დონის დანამატი სიდიდე.

ხმაური ინტენსივობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხმაური, რომლის ინტენსივობა აღწევს 80 დბ-ს. ასეთი ინტენსივობის ხმაური ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის. მეორე ჯგუფს მიაკუთვნებენ ისეთ ხმაურს, რომლის ინტენსივობა მერყეობს 80-დან 135 დბ. ერთი დღელამის და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი ხმაურის ზემოქმედება იწვევს ადამიანის სმენის დაქვეითებას, ასევე შრომისუნარიანობის დაწევას 10-30%-ით.

ხმაური, რომლის ინტენსივობა მეტია 135 დბ მიეკუთვნება მესამე ჯგუფს და ყველაზე სახიფათოა. ასეთ ხმაურს იწვევს აირტურბინული გენერატორები (კონტეინერების გარეშე). 135 დბ-ზე მეტი ხმაურის სისტემატური ზემოქმედება (8-12 საათის განმავლობაში) იწვევს ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესებას, შრომის ნაყოფიერების მკვეთრ შემცირებას. ასეთ ხმაურს შეუძლია გამოიწვიოს ლეტალური შემთხვევებიც.

ხმაურის დასაშვები დონეები მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისათვის მოცემულია ცხრილში 8.10.1.1.

ცხრილი №8.10.1.1

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L დღე (დბA)		L ღამე
		დღე	სადამო	
1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/სასტუმრო სახლების/მოტელის ნომრები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების (≤ 100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40

11	დიდი ზომის ოფისების (≥ 100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤ 6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა > 6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
16	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

შპს „ქონსტრაქშენ სერვისი“-ს საქმიანობის შემთხვევაში, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დასაშვები ნორმა, ცხრილში მოცემული მონაცემების მიხედვით, დღის საათებში შეადგენს 45 დბ-ს, ხოლო ღამის საათებში 40 დბ-ს (ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤ 6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს).

შპს „ქონსტრაქშენ სერვისი“-ს კარიერის პირველი უბნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი, დაშორებულია დაახლოებით 978 მეტრით, ხოლო მეორე უბნიდან დაახლოებით 712 მეტრით. სამთო მინაკუთვნის ფარგლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება მოპოვებითი სამუშაოების დროს გამოყენებული ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების მუშაობასთან.

მოსალოდნელი ზემოქმედებების მასშტაბების და გავრცელების არეალის განსაზღვრისთვის შესრულდა ხმაურის გავრცელების გაანგარიშება, რაც ითვალისწინებს:

- ხმაურის წყაროების და მათი მახასიათებლების განსაზღვრას;
- საანგარიშო წერტილების შერჩევას;
- ხმაურის წყაროებიდან საანგარიშო წერტილებამდე ხმაურის გავრცელების მიმართულების განსაზღვრას და გარემოს ელემენტების აკუსტიკურ გაანგარიშებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ხმაურის გავრცელებაზე (ბუნებრივი ეკრანები, მწვანე ნარგავები და ა.შ.);
- საანგარიშო წერტილებში ხმაურის მოსალოდნელი დონეების განსაზღვრას და მათ შედარებას ხმაურის დასაშვებ დონესთან;

- საჭიროების შემთხვევაში ხმაურის დონის შემამცირებელი ღონისძიებების შემუშავებას.

8.10.1 ხმაურის გავრცელება კარიერის დამუშავების ეტაპზე, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე გამოყენებული იქნება შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

#	მექანიზმის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	თითოეულის ხმაურის დონე
1.	დამტვირთველი ექსკავატორი	8	70
2.	ბულდოზერი	2	80
3.	ავტოთვითმცლელი	20	70

წინასწარი გათვლებით, ლიცენზირებული უბნების მოსახლეობიდან დაშორების გათვალისწინებით, კარიერის დამუშავების ეტაპზე ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, თუმცა დეტალური გაანგარიშება და ასევე შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი წარმოდგენილი იქნება გზმ ანგარიშში.

8.10.2 ვიბრაციის გავრცელება კარიერის დამუშავების ეტაპზე, ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედება

ვიბრაცია არის დრეკადი რხევები და ტალღები მყარ სხეულში. ვიბრაცია წარმოადგენს მავნე საწარმოო ფაქტორს, რომლის ზღვრულად დასაშვებ დონეებზე მაღალი მაჩვენებლების ზემოქმედება ადამიანში იწვევს უსიამოვნო შეგრძნებებს, ხოლო ხანგრძლივი ზემოქმედების შემთხვევაში ვითარდება პათოლოგიური ცვლილებები.

ვიბრაციის ზღვრულად დასაშვები დონე (ზდდ) არის ვიბრაციის ფაქტორის დონე, რომელიც ყოველდღიური (გარდა დასვენების დღეებისა) მუშაობისას, მაგრამ არა უმეტეს 40 სთ-ისა კვირაში, მთელი სამუშაო სტაჟის განმავლობაში არ უნდა იწვევდეს დაავადებას, ჯანმრთელობის მდგომარეობაში რაიმე ისეთ გადახრას, რომელიც გამოვლინდება თანამედროვე კვლევის მეთოდებით მუშაობის პერიოდში, ან მოგვიანებით, ან მომდევნო თაობის სიცოცხლის განმავლობაში. ვიბრაციის ზდდ-ს დაცვა არ გამოიციხავს ზემგრძნობიარე პირებში ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლას.

ვიზრაციის დასაშვები დონე საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებში არის ვიზრაციის ფაქტორის დონე, რომელიც არ არის შემაწუხებელი ადამიანისათვის და არ იწვევს ვიზრაციული ზემოქმედებისადმი მგრძნობიარე სისტემებისა და ანალიზატორების ფუნქციური მდგომარეობის მაჩვენებლების მნიშვნელოვან ცვლილებებს. ვიზრაცია შეიძლება იყოს:

- ზოგადი ვიზრაცია, რომელიც საყრდენი ზედაპირიდან გადაეცემა მჯდომარე ან ფეხზე მდგომი ადამიანის სხეულს;
- ლოკალური ვიზრაცია, რომელიც ხელებიდან გადაეცემა ადამიანს.
- ლოკალურ ვიზრაციას ზემოქმედება ექნება მოსამსახურე პერსონალზე, ხოლო ზოგადი ვიზრაცია შესაძლებელია გავრცელდეს ობიექტის ტერიტორიაზე.

კომპანიის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შესაძლოა წარმოადგენდნენ ვიზრაციის გამომწვევ წყაროს, საპასპორტო მონაცემების მიხედვით არ აჭარბებენ დასაშვებ ნორმებს.

ამასთან, მოპოვების პროცესში გათვალისწინებულია პერიოდული მონიტორინგი, დაწესდება სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური კონტროლი და გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ ანგარიშში.

8.11 ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედება

როგორც უკვე აღინიშნა, ლიცენზირებული უბნები მდებარეობს საპროექტო საავტომობილო გზის სიახლოვეს, რის გამოც ლანდშაფტი უკვე სახეცვლილია და კარიერის დამუშავება დამატებით ლანდშაპტურ ცვლილებასთან იქნება დაკავშირებული. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნება სარეკულტივაციოდ, რომელზედაც მოხდება ბალახოვანი მცენარეების დათესვა, ლანდშაფტური ცვლილება იქნება დროებითი ხასიათის. კარიერის დამუშავების შემდგომ ტერიტორია აღდგება პირვანდელ მდგომარეობამდე მიახლოებულ ფორმაში.

8.12 კუმულაციური ზემოქმედება

კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, 500 მეტრიანი რადიუსის ზონაში, მსგავსი ტიპის საქმიანობა წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად საქმიანობის განხორციელების ეტაპზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

8.13 ნარჩენების მართვის საკითხები

კარიერის დამუშავების პროცესში საწარმოო ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. საპროექტო ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება, ვინაიდან საქმიანობის პროცესში გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური

მომსახურება, საწვავის ან/და საზეთ-საპოხი მასალების ადგილზე შეცვლა პროექტით გათვალისწინებული არ არის.

ამასთან, კარიერის ტერიტორიაზე საოფისე და მუშათა დროებითი საცხოვრებელი ან/და მოსასვენებელი ოთახის მოწყობა დევეგმილი არ არის, შესაბამისად კარიერის ტერიტორიაზე საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

თუმცა, იმ შემთხვევაში თუ მოხდება რაიმე ტიპის ნარჩენის წარმოქმნა, მისი მართვა განხორციელდება საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და ნარჩენების მართვის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

9. ინფორმაცია ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

ლიცენზირებული ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებით, არც საპროექტო ტერიტორიაზე და არც მის მიმდებარედ, მათ შორის საავტომობილო საპროექტო გზის მონაკვეთზე მკვდარი ცხოველების სამარხები არ ფიქსირდება.

თუმცა, კომპანიამ, „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების დანართი №2-ის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯილეხის შესაძლო აღმძვრელის არსებობის თაობაზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მიმართა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს.

სააგენტოს 2023 წლის 5 სექტემბრის #09/7865 წერილის შესაბამისად (იხ. დანართი), საპროექტო ტერიტორიის არეალში ჯილეხით მკვდარი ცხოველების სამარხები არ ფიქსირდება. თუმცა, მათივე ინფორმაციით, ტერიტორიიდან 7000 მ-ში დაფიქსირებულია ეპიზოოტიური კერა, სადაც რეგისტრირებულია ჯილეხით მკვდარი ცხოველების სამარხები. თუმცა აღნიშნული ტერიტორია საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული საპროექტო არეალიდან. ამასთან, მათივე ინფორმაციით საგარეჯოს მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ჯილეხის აღმძვრელის არსებობაზე საფრთხის შემცველ ტერიტორიას, სადაც სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მრავლადაა დღემდე უცნობი სპონტანური კერები და უკონტროლო სამარხები, რომლებიც რისკის მატარებლად რჩება ათეული წლებია.

ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, კომპანიის მიერ, „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი თბილისი-

ბაკურციხის, კმ35+500 -კმ52+540 - მონაკვეთის საგარეჯო -ბადიაურის საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში მომზადებული იქნა „მეორადი ინფექციური დაავადებების (ჯილეხის) გავრცელების პრევენციის მართვის გეგმა“. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებული პირობები გამოყენებული იქნება კარიერის ორივე უბნის დამუშავების პროცესში, ამასთან გათვალისწინებული იქნება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს წერილით გაცემული რეკომენდაციები.

სააგენტოს წერილი და ასევე „მეორადი ინფექციური დაავადებების (ჯილეხის) გავრცელების პრევენციის მართვის გეგმა“ დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს.

10. ინფორმაცია გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის ჩასატარებელი კვლევებისა და საჭირო მეთოდების შესახებ

გზშ-ის ანგარიშის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გზშ-ის ანგარიშის მოსამზადებლად, საპროექტო ტერიტორიაზე მიმდინარეობს დეტალური საველე კვლევა და მოხდება მონაცემების მეთოდური და პროგრამული დამუშავება. კვლევა და კვლევის შედეგების დამუშავება განხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ. გზშ-ის ეტაპზე, დაგეგმილი საქმიანობის აღწერის მიზნით:

- მოხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების დეტალური გაანგარიშება;
- ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების შესაფასებლად განისაზღვრება საანგარიშო წერტილები და პროგრამული ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდება მათი გავრცელების მოდელირება;
- გზშ-ის ეტაპზე, საველე კვლევის მეთოდის და ატმოსფერულ ჰაერში ემისიებისა და ხმაურის გავრცელების კომპიუტერული მოდელირების საშუალებით გამოვლენილი იქნება გარემოს ის კომპონენტები, რომელზეც შესაძლებელია საქმიანობის განხორციელებამ ძლიერი ზემოქმედება მოახდინოს;
- დეტალურად იქნება განხილული, ტერიტორიის შერჩევის, მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა;
- წარმოდგენილი იქნება დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ, მათ შორის, მოსახლეობაზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის, მცენარეთა და ცხოველთა სახეობები, ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალზე, ჰაერზე, ნიადაგზე, ლანდშაფტზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე (მათ შორის,

არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტები) და მატერიალურ ფასეულობებზე ზემოქმედების შესახებ;

- შეფასდება კარიერის დამუშავებით გამოწვეული პირდაპირი, არაპირდაპირი, კუმულაციური, მოკლევადიანი, გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედება;
- შემუშავდება გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებებისა და გარემოსდაცვითი მონიტორინგის სამოქმედო გეგმა-გრაფიკი;
- წარმოდგენილი იქნება სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება;
- გზმ - ის ანგარიში მომზადებული იქნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

11. გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებების მართვის გეგმა

11.1 ზოგადი მიმოხილვა

პროექტის განხორციელების ეტაპზე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების იერარქია შემდეგნაირად გამოყურება:

- ზემოქმედების თავიდან აცილება/პრევენცია;
- ზემოქმედების შემცირება;
- ზემოქმედების შერბილება;
- ზიანის კომპენსაცია.

ზემოქმედების თავიდან აცილება და რისკის შემცირება შესაძლებლობისდაგვარად შეიძლება მიღწეულ იქნას მოპოვებითი სამუშაოების წარმოების და ექსპლუატაციისას საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილების გამოყენებით. შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილი გათვალისწინებულია პროექტის შემუშავებისას. თუმცა, ვინაიდან ყველა ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, პროექტის გარემოსადმი მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპისთვის და ყველა რეცეპტორისთვის განისაზღვრება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა.

შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაზე პასუხისმგებლობას იღებს საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია - შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“.

11.2 შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი

ზემოქმედება/ზემოქმედების აღწერა	ამოცანა	შემარბილებელი ღონისძიებები		პასუხიმგებელი მონიტორინგის განხორციელებაზე სახეები
		დახასიათება	განხორციელების ვადები	
<p>ატმოსფერულ ჰაერში ემისიების გავრცელება</p> <ul style="list-style-type: none"> სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას წარმოქმნილი მტვერი; სატრანსპორტო საშუალებების წვის პროდუქტები 	<p>მტვრის გამოყოფის მინიმუმამდე დაყვანა. გარემოზე ისეთის სახის ზემოქმედებების შემცირება, როგორცაა:</p> <ul style="list-style-type: none"> ადამიანების შეწუხება და მათ ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედება; 	<p>a. ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე);</p> <p>b. დასახლებულ პუნქტებში სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შეზღუდვა;</p> <p>c. სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმალიდან მასალის დაყრის აკრძალვა);</p> <p>d. სამუშაო უბნების და მისასვლელი გზების ზედაპირების მორწყვა მშრალი ამინდის პირობებში;</p> <p>e. ადვილად ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირებისას მანქანების ძარის სათანადო გადაფარვა;</p> <p>f. ადვილად ამტვერებადი მასალების ქარით</p>	<p>a, b – მუდმივად სატრანსპორტო ოპერაციების დროს;</p> <p>c - მიწის სამუშაოების წარმოების და მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვისას;</p> <p>d, e, f - მორწყვა პერიოდულად, განსაკუთრებით მშრალ და ქარიან ამინდებში დღეში 4-5-ჯერ; მანქანების და დასაწყობების ადგილების გადახურვა მუდმივად</p> <p>g, h – სამუშაოების დაწყებამდე და შემდგომ პერიოდულად;</p> <p>i - საჩივრების შემოსვლის შემდგომ;</p> <p>j - მუდმივად</p>	<p>შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“</p>

		<p>გადატანის პრევენციის მიზნით, მათი დასაწყობების ადგილებში სპეციალური საფარის გამოყენება ან მორწყვა;</p> <p>გ. საჭიროებისამებრ პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (რესპირატორები);</p> <p>h. პერსონალის ინსტრუქტაჟი;</p> <p>i. საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება;</p> <p>j. სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის მუდმივი კონტროლი.</p>		
--	--	--	--	--

<p>ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება სამუშაო ზონაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ოპერირების პროცესში სატრანსპორტო საშუალებების მუშაობის დროს წარმოქმნილი ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება 	<ul style="list-style-type: none"> • ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების მინიმუმამდე დაყვანა. გარემოზე ისეთი სახის ზემოქმედების შემცირება, როგორცაა ადამიანებსა და ცხოველებზე ზემოქმედება; 	<ol style="list-style-type: none"> a. მუშა პერსონალის აღჭურვა სპეციალური ხმაურდამხშობი საშუალებებით; b. დანადგარების ტექნიკური უზრუნველყოფა; c. ხმაურიან ტექნიკაზე მუშების პერიოდული ცვლა 	<p>a, b, c - სამუშაოების შესრულების პროცესში მუდმივად</p>	<p>შპს „მაქრო ქონსტრაქშენი“</p>
---	--	--	---	---------------------------------

<p>ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე</p> <ul style="list-style-type: none"> • მიწისქვეშა გრუნტის წყლების დაბინძურება და ხარისხის გაუარესება • სამუშაოების დროს საწვავის/საპოხი მასალის დაღვრის შედეგად. 	<p>მიწისქვეშა წყლის რესურსებზე დამოკიდებულ რეცეპტორებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, ზემოქმედების თავიდან აცილება</p>	<p>a. მიწისქვეშა გრუნტის წყლის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილებისთვის საჭირო ყველა ღონისძიების გატარება, ნარჩენების სწორი მართვა (წარმოქმნის შემთხვევაში);</p> <p>b. სამუშაოების დროს გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის კონტროლი;</p> <p>c. ავარიული დაღვრის შემთხვევაში ავარიული გეგმის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;</p>	<p>a, b, c - სამუშაოების შესრულების პროცესში მუდმივად</p>	<p>შპს „მაკრო ქონსტრაქშენი“</p>
--	--	---	---	---------------------------------

